ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი საქართველო

მარტი №3 1914

რედაქციისაგან.

გარემოებამ გვაიძულა თითქმის ერთი წლით ჩვენი გამოცემა შეგვეჩერებია. ამ წლის განმავლობაში საქართველოს ცხოვრებაში ბევრი რამ გამოიკვა. მტერთა იერიში ქართველ ერის წინააღმდეგ გაორკეცდა, სამაგიეროდ თვით ერის ცხოვრებაშიც თავის მდგომარეობის შეგნება გარღმავდა და გარკვეულ ეროვნულ პოლიტიკის წარმოების საჭიროება ნათლად გამოიხატა. მოახლოვდა დრო, როცა ქართველი ერი, რუსის შემოსვლიდან თითქო დარეტიანებული ბარბაროსულ უღელს ქვეშ, წელში იმართება და სიტყვას საქმედ აქცევს, მასზე მოტანილ იერიშს მოიგვრიებს და კვლავ თავის ვინაობას აღადგენს. გავლილმა წელმა ჩვენ კიდევ უფრო ღრმად დაგვარწმუნა, რომ ჩვენ მიმართულებას ღრმა ეროვნულ—სოციალური მნიშვნელობა აქვს და რამდენად ქართველი ერი თავის ვინაობას მეიგნებს, იმდენად ჩვენი მიმართულება გაიშლება, გაძლიერდება და ყოველი ქართველის აუცილებელ მრწამსად იქცევა. მართლაც რომელ ქართველს შეუძლია, თუ ის არაა სულ გათახსირებული, გაწუწკებულ—გადაგვარებული ჩვენს იდეალს—თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს ზურგი უჩვენოს? მართლაც რაა ჩვენი მისწრაფება? ვისიმე, დაჩაგვრა, შეწუხება, შევიწროება? პირიქით, ყოველ საფეხურზე, ყოველ სფეროში სოსიალურ არსებობისა ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ. ბარბაროსულ მაჯლაჯუნას მთელი ჩვენი სამშობლო ერთ დიდ სატუსაღოდ უქცევია, სადაც სული გვეხუთება, კასაქანი არა გვაქვს, ჩვენი შემოქმედება იხშობა, ჩვენი ადამიანობა იქელება. რუსის ციხე, თვალ—უწვდენელი მისი გაყინული სამფლობელო საუკეთესო ქართველთა სისხლით ირწყვება, საუკეთესო ქართველთა ძვლებით მოთესილია. შინ უბედურობა, გარედ ტანჯვა-წვალება. ნუთუ უნდა მოიპოებოდეს ისეთი ქართველი, რომელსაც შეეძლოს გულ-გრილად უყურის ამ ჩვენ განადგურებას? არა, არ გვგონია. შეიძლება ადამიანი დაეცეს, გადაგვარდეს, გათახსირდეს, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. და ჩვენც საფუძვლიანად ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ერი, მისი უმრავლესობა თავის ბუნებრივ შემოქმედების ძალით ჩვენსკენ იქნება. საერთო დახმარება და თანაგრძნობა ჩვენს გაგვამხნევებს, მეტს ძალას მოგვცემს და შეგვაძლებინებს სიტყვა საქმედ ვაქციოთ, თეორიულ სფეროდან ფართო პრაქტიკულ მოქმედებას შევუდგეთ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვის უნდა ქართველ ერს საკუთარი სახელმწიფო.

ერის განვითარება ისტორიაში ყოველთვის სახელმწიფოს დაარსებ
დამთავრებულა ხოლმე. არ არის არც ერთი ეგრედ წოდებული ისტორ
ული ერი, რომ მისი ზრდა და განვითარება არ დაგვირგვინებულ
საბოლოოდ სახელმწიფოს დაარსებით და არ არის აგრეთვე ისეთი ერ
რომელსაც მთელი თავისი ძალ-ღონე არ მოეკრიბოს სახელმწიფოს აღ
დგენად, თუ დროთა ვითარებაში მას წართმეული ა უფლება საკუთარ სახ
ლმწიფოს ქონებისა. როდესაც მიუღწევია მას ამ მიზნისათვის, ხელ-ა
ლავ დაუწყია დანგრეული სახელმწიფოებრივი ცხოვრება,-იგი კვლ
განვითარებულა და მიჩნეული ყოფილა ერთა შორის, როგორც მათი თა
ნასწორი დი პატივით მორჭმული,—ხოლო თუ უცხოს უღელი ვერ გადა
უგდია ქედიდან და მისჩვეია სხვის ბატონობას,-დროთა ვითარებაში გაქ
ქრალა მისი თავისებურობა, მისი ენა, მწერლობა, ხელოვნება და თვი
ერიც ძირიან-ფესვიანად აღგვილა პირისაგან მიწისა, ან ისე დაქვეითებ
ლა, რომ მისი არსებობა მხოლოდ მისთვის სასირცხო და კაცობრიობ
სათვის უმნიშვნელო ყოფილა. ამას გვიმტკიცებს თვალ-ნათლივ მთელ
ისტორია კაცობრიობისა და საკმარისია ადამიანმა გაითვალისწინოს ცხო
ვრება ყველა ძველ და ახალ ერთა, რომ ნათლად დაინახოს სრული სი
მართლე ამ ისტორიული კანონისა.

განვითარებული ერი რთული არსებაა, თავისებური, რომელსაც მსგავ
სი არა ჰყავს სხვა ერთა შორის, მას უჭირავს განსაკუთრებული მიწა-
წყალი, რომელიც მის საკუთრებას შეადგენს. მას აქვს საკუთარი ენა, რო
მელიც სხვა ენისაგან განსხვავდება და რომელსაც მისი სიცოცხლის დასა
ბამიდან შესჩვეია ერი და მით მეტყველებს, მითი ჰხატავს თავის გრძნ
ბებს, მითი სჭრის სამართალს, მით ლოცულობს და სხვა. ერს აქვს თა
ვისი საკუთარი საქმეები, რომელიც სხვათა საქმეთაგან განსხვავდება
ამიტომ განსაკუთრებულ მოწესრიგებას მოითხოვს. ერს აქვს თავისი ზნ
ჩვეულებანი, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში განვითარებულან
შეადგენენ ამიტომ მისი ბუნების არსებასა. ერს აქვს მთელი დიდი, ხა
გრძლივი, ხშირად ძლიერ მწარე ისტორია ზრდისა და განვითარებისა
მტერთაგან თავის დაცვისა და სხვა. მოგონებანი ამ წარსულის სიმწარ
თუ სიტკბოებისა მემკვიდრეობით გადადიან ერთი თაობიდან მეორეზ
და შეუწყვეტელ სულიერ კავშირსა ჰქმნიან წარსულსა და აწმყოს შორ
მიცვალებულთა და ცოცხალთა შორის. ჩვეულებანი წარსულ თაობათ
ხშირად მათი აზრებიცა და რწმენანიცა- ერთობ ხასიათი წარსულ თა
ობათა აგრეთვე ახალთაობის მემკვიდრეობას შეადგენენ და ამგვ
რად ჩნდება ის ეროვნული სული, რომელიც მუდამ იცვლება, მაგრ
იმავე დროს ერთია და უკვდავი, რადგანაც ერთი ძველის ძირისაგან არ
წარმოშობილი და ძველთაგან გარდმოცემული, ახალ შთამომავლობას მ
დამ ედგმის სხეულში, აცხოველებს მას, ჰქმნის მის უკვდავ თავისებურ
ბას. სწორედ ისე, როგორც მცირეწლოვანი ბავშვი აღარა ჰგავს მოწ
ფულ ვაჟკაცს, ოდეს სიჭაბუკის დროს განივლის, მიუხედავად იმისა, რ
პიროვნება, კაცი იგივე დარჩა, განვითარებული ერი არა ჰგავს პირ
ლად ფეხ—ადგმულ ერსა. და მიუხედავად ამისა ეს ერი იგივეა, იგ
პიროვნება. ერის მსგავსებაც კერძო პიროვნებასთან სწორედ ეს საკირ
ლი მოვლენაა, რომ ორივენი იცვლებიან მუდამ, მცირეწლოვანობიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწიფულობამდე ვითარდებიან, იზრდებიან, და ამავე დროს პიროვნება
მათი იგივეა, სხეული მათი იგივეა, სულის თავისებურობა მათი იგივეა,
მხოლოდ გაზრდილი და განვითარებული იმ შთანასახისაგან, რომელიც
პირველ—ყოფილი წყარო იყო მათის მომავალის ზრდადამთავრებულის
არსებობისა.

აი რა ქმნის ერის სურვილს შეინარჩუნოს თავისი საკუთარი მიწა-წყალი
და ერთობ მისი სულიერი საუნჯე: ენა, ხელოვნება, სარწმუნოება და სხ.
იგი მართლაც მისი საკუთრებაა-ნივთიერი და სულიერი, და ისე როგორც
კერძო კაცი, განცარცვული ყოვლის ქონებისაგან, უმწეოა და ცხოვრების
საშუალებას მოკლებული,-ერიც ნივთიერ საკუთრებისაგან განცარცვული
სიკვდილისთვის არის გამზადებული; როგორც პიროვნება, თავისუფლებას
მოკლებული და სულიერად ჩაგრული, არარაობაა და პატივ—აყრილი,
აგრეთვე ერი, რომლისთვისაც წაურთმევიათ მისი სულიერი საუნჯე,
ფეხქვეშ გაუთელავთ მისი კულტურა, სცდილობს კვლავ დაიბრუნოს
წართმეული, რომ მთლად არ განქრეს ამა ქვეყნიდან; როგორც პიროვნე-
ბა სცდილობს მუდამ უზრუნველ ჰყოს თავისი ცხოვრება ყოვლის მხრით
და იცოცხლოს მანამ, სანამ ბუნებრივი სიკვდილი თვით არ შეაკვეცს
ფრთებს მის არსებობას, აგრეთვე ერი სცდილობს რაც შეიძლება ხან-
გრძლივი იყოს მისი სიცოცხლე, რაც შეიძლება უფრო მტკიცე, მშვენი-
ერი და უზრუნველყოფილი იყოს მისი არსებობა, — სცდილობს უკვდა-
ვება მოიპოვოს, რამდენადაც კი შესაძლებელია უკვდავება ამ ქვეყანაზედ,
სადაც ყოველისფერი ბოლოს და ბოლოს წარმავალია.

და სახელმწიფო არის ერთათვის ერთად—ერთი იარაღი, ერთად—ერ-
თი გარეშეთაგან თავის დასაცავი და შინ ცხოვრების მოსაწესრიგებელი
იარაღი, რომ არსებობა და განვითარება შესძლოს. ისე როგორც კერძო
პიროვნებას აქვს ცხოვრებაში მრავალი იარაღი, მრავალი საშუალება თა-
ვის დაცვისა და განვითარებისა: სამართალი სხვის უსამართლობისაგან თა-
ვის დასაცავად, საკუთრებისა და ოჯახის დასაცავად, —საკუთრება საცხო-
ვრებლად და ოჯახის გამოსაკვებად, ნამდვილი საჭურველი, რომ მეკობრე-
თაგან, მტაცებელთაგან და მომძლავრეთა სიბოროტისაგან დაიცვას თა-
ვისი პიროვნება და თავისი სახლი და, სხვა. — მსგავსადვე სახელმწიფო
არის იარაღი ერისა, რომ შინ და გარედ უზრუნველ ჰყოს შინაურ და გა-
რეშე მტერთაგან თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მშვიდობიანი გან-
ვითარება თავისი საკუთარი ცხოვრებისა.-მართალია სახელმწიფოს მქონე ერი
ხშირად ამ თავისი იარაღით სხვას უთრგუნავს თავისუფლებასა, მართალია
ხშირად ეს იარაღი შიგნით, თვით საზოგადოებაში ერის გაბატონებული ნა-
წილის მიერ იმავე ერის ღარიბ მშრომელ ნაწილის სამართლიან მოთხოვ-
ნილებათა წინააღმდეგ არის ხოლმე მიმართული. ასეთი მაგალითებით სავ-
სე ერთა ისტორია,—მაგრამ ეს სახელმწიფოს ხასიათს, როგორც ერის
აუცილებელ საჭირო შინაგან და გარეგან თავის დაცვის იარაღისას, არა
სცვლის; რასაც შინ და გარედ სახელმწიფოს მქონე ერი უსამართლობას
სჩადის, მას ყოველთვის სასტიკ ბრძოლას უწევდა საზოგადოების დაჩაგრუ-
ლი ნაწილი, იგი უსამართლობა იწერებოდა ისტორიაში და უსამართ-
ლობად არის ეხლაც მიჩნეული. წარსულში ამ უსამართლობას თრგუნავ-
დნენ, იგი დღესაც დაგმობილია და კაცობრიობა სწორედ იმიტომ იბრძვის

ყველგან, რომ ერი შიგნით სამართლიანობისა და საზოგადო წარმოების წესზედ მოეწყოს, ხოლო გარედ თავისი მეზობელი მძლავრობით არ დაჩაგროს, ან მას არ დააჩაგვრინოს თავი. და როდესაც ამ უმაღლესს მიზანს მიაღწევს კაცობრიობა, მაშინ სახელმწიფო მართლაც გადიქცევა ერის ისეთ იარაღად, რომელიც შინაცა და გარედაც ნამდვილი სიმართლისა და თანასწორობის, ნამდვილი თავისუფლების დამცველი იქნება.

სამართლიანად იყენებს ერი სახელმწიფო იარაღს თუ უსამართლოდ ეხლანდელ დროშიაც, მსგავსად წარსულისა, ამას ეხლა მნიშვნელობა არა აქვს. უმთავრესი ის არის, რომ ერს ეხლა უსახელმწიფოდ ცხოვრება არ შეუძლია. და ქართველი ერი, რომელსაც რუსებმა წაართვეს ას წელიწადზედ მეტია საკუთარი სახელმწიფოებრივი მართვა—გამგეობა, დღეს დაღუპვის გზაზეა დამდგარი, რადგანაც სხვა ერია თავის სახელმწიფო იარაღით დღეს ჩვენში დამკვიდრებული და საუკუნეზედ მეტია, რაც გვართმევს საკუთრებას, მიწა-წყალს, ნამუშევარს, ნაშრომ-ნაღვაწს და ფეხ-ქვეშ სთელავს ქართველი ერის წარსულსა და თანამედროვე სულიერ საუნჯესა.

მიწა-წყალს იმიტომ აქვს უმთავრესი მნიშვნელობა ერის არსებობისათვის, რომ იგი საფუძველია, ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენებულა და გაზრდილა ერი, რომელზედაც დამყარებულა საზოგადოებრივი ცხოვრება ერისა. საზოგადოებრივი ცხოვრება—ადამიანთა საერთო ცხოვრებაა, ერთად მოქმედება და ფიქრი ცხოვრების განსაგრძობად და განსამშვენიერებლად. ნების—ყოფა ერისა, რომელიც მის მრავალფეროვან მოქმედებით გამოცხადების, განსაზღვრულ ადგილზე უნდა ვრცელდებოდეს, რომელზედაც დასახლებულია ერი, როგორც თავის ხელ—შეუხებელ საკუთრებაზედ; კანონი, რომელიც შექმნილია ერის ნების—ყოფისაგან და სავალდებულო არის ყველა წევრისათვის, მხოლოდ მაშინ იქნება აღსრულებული ცხოვრებაში, როდესაც განსაზღვრულ ადგილზედ ერს ძალა შესწევს აიძულოს თავის წევრებს კანონის აღსრულება, ისე რომ სხვას არა ჰქონდეს უფლება ამავე ადგილზედ თავის კანონის დამკვიდრებისა. მიწა—წყალი ისეთი ხელ—შეუხებელი საკუთრება უნდა იყოს ერისა, რომ მას ნება და ძალა ჰქონდეს თავისი წევრები თავისი სურვილისამებრ და სახელმწიფოსათვის საუმჯობესოდ გაანაწილოს მის კუთვნილ სივრცეზე, რომ შეჰქმნას მჟიდროდ მდგომი საზოგადოება განსაზღვრულ ადგილზედ, მომქმედი საკუთარ ნივთიერ და სულიერ განსავითარებლად. ეს არის მიზანი ყოველივე სახელმწიფოსი და ამიტომაც სახელმწიფო უმიწაწყლოდ შეუძლებელია. საზღვრებით უნდა იყოს შემოხაზული ყოველი ერის მიწა-წყალი, როგორც მისი საკუთრება, რომ სახელმწიფოს შეეძლოს ერის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება და ხელმძღვანელობა. ასეთია დღეს ყოველი სახელმწიფო. და ის ერი, რომელსაც აქვს თავისი მიწა—წყალი და სახელმწიფო, მართლაც წარმოადგენს ერთს გარკვეულ საზოგადოებრივ პიროვნებას, ხოლო ის ერი, რომელსაც მიწა—წყალი კიდევ შერჩენია და სახელმწიფო კი წართმეული აქვს, სცდილობს დაიბრუნოს წართმეული უფლება, რათა კვლავ მოაწყოს თავის სურვილისამებრ საკუთარი საზოგადოებრივი ცხოვრება სახელმწიფო იარაღის საშუალებით. მაგრამ ის ერი, რომელსაც აღარც მიწა—წყალი აქვს და აღარც სახელმწიფო, მთელს ქვეყანაზედ უუბედურესი ერია. აიღეთ მაგალითად ებრა-

ელები. გარდა იმ დევნისა და ხოცვა—ულეტისა, რომელსაც ებრაელები განიცდიდენ წინად უცხო ერთა შორის, სხვის მიწა—წყალზედ, და განიცდიან დღესაც, განსაკუთრებით რუსეთში, მათ სხვა უბედურობაც ეწვია. მუდმივმა ცხოვრებამ უცხო საზოგადოებათა, უცხო ერთა შორის, უცხო მიწა—წყალზედ, მოსპო მათი ეროვნული შემოქმედების ნიჭი, მოსპო მათი ენა და მხოლოდ სარწმუნოების ენად ღა დასტოვა. ებრაელი სადაც არ უნდა იყოს, ყველგან **სხვაგან** არის, ყველგან **უცხოა**, რადგანაც ყველგან სხვის საზოგადოებაშია და არა თავის, ებრაელურ საზოგადოებაში. სხვისი ენა სჭირდება ვაჭრობაში, სხვის ენაზედ ითვისებს განათლებას, სხვის კანონს ემორჩილება და სხვა.

თუ საკუთარი ყარგონი შეუმუშავებიათ სადმე,-მაგალითად გერმანული ყარგონი, რომელსაც ლაპარაკობენ ავსტრიაში, პოლონეთში და რუსეთში—ესპანიური ყარგონი, რომელსაც ლაპარაკობენ მაგალითად სალონიკში—ეს ხომ ებრაული ენა არ არის, ეს სხვათა ენაა და ისიც ისე გადამახინჯებული, რომ აღარავითარი სიმშვენიერე აღარა აქვს შერჩენილი. ხოლო ძველი ებრაული ენა მოფსალმუნეთა და წინასწარმეტყველთა, ენა ოდესღაც თავისუფალ, სამშობლოს მქონე ებრაელთა, სარწმუნოების ენად ღა დარჩა, და იგიც მხოლოდ რამდენიმე პირთა ოდნის სალაროს შეადგენს. ამბობენ, ებრაელებმა ბევრი დიდი ნიჭიერი კაცი წარმოშობეს ყველგან გაბნევის შემდეგაცაო, მაშასადამე შემოქმედება ეროვნული თავისუფლებისა და მიწა—წყლის გარეშეც შესაძლებელიაო.—შემცდარი აზრია: გაბნევის შემდეგ რაც შექმნეს ებრაელებმა სხვა ერთა ცხოვრების წიაღთა შინა, ის ებრაული ეროვნული სულის ნამოქმედარი კი არ არის, არამედ რამდენიმე ებრაელის პირად ნიჭის გამოჩენა უცხო ნიადაგზედ და უცხოთა შემწეობით, უცხოთა სასარგებლოდ. არაბთა ფილოსოფოსებში თუ ებრაელები ერივნენ, მათ არაბულად დასწერეს თავიანთი თხზულებანი, არაბების სულიერი შემოქმედების ნაყოფნი იყვნენ, არაბებს შესძინეს და არა ებრაელებს:—მათ ნაწარმოებში არაფერი ებრაული არა ყოფილა. აგრეთვე თანამედროვე ევროპიელი მეცნიერები და ხელოვანნი ებრაელთაგანნი რასა ჰქმნიან ებრაულს?—არაფერს. იგინი ნაყოფნი არიან ევროპის კულტურისა და ევროპისათვის მუშაობენ, როგორც **ევროპიელნი**, ევროპიულ ენებზედ, და ებრაული არც მათ ნამოქმედარშია არაფერი. ებრაელთა კულტურა მაშინ შეიქმნა, როცა იგინი თავისუფალნი იყვნენ პოლიტიკურად პალესტინაში, მათ საკუთარ სამშობლოში, როდესაც თავიანთ აღფრთოვანებულ ფსალმუნთა თავიანთ სამშობლოში სწერდნენ, როდესაც სამშობლოს მტერთა წინააღმდეგ ცეცხლის ენით წინასწარმეტყველებდნენ; ხოლო როცა გაიბნენ და დაჰკარგეს სამშობლო, მაშინ საუკუნოდ დაიმარხა მათი ეროვნული თავისებურობა და მაშასადამე მათი სულიერი კულტურაცა: და საკვირველია,—თავისუფლების დროს ებრაელები ყოველთვის პატარა ერს წარმოადგენდნენ, მაგრამ სამშობლოსა და პოლიტიკურ თავისუფლების ქონების წყალობით დიდი კულტურა შექმნეს, ხოლო ეხლა მათი რიცხვი 11 მილიონს აღწევს და, გაბნეულობისა და სამშობლოს უქონლობის წყალობით, მათი ეროვნული შემოქმედება პირდაპირ არარაობას უდრის,—მათ ორი ათასი წლის განმავლობაში ეროვნულად სრულიად ვერაფერი შექმნეს,—შეირჩინეს მხოლოდ სა-

რწმუნოება. მაგრამ მარტო სარწმუნოება ვერას უშველის ერს გადაგვარებისა და არარაობად გახდომის წინააღმდეგ. და სწორედ ამ ჩვენ დროში გაჩნდენ ისეთი ებრაელები, რომელთაც შეიგნეს ეს ჭეშმარიტება და სცდილობენ კვლავ მოიპოვონ ძველი სამშობლო, აღადგინონ იგი ებრაელთა ძველ სამშობლოში გადასახლებით, განაცხლონ ათას წელთა განმავლობაში მკვდარი სამშობლო ენა და ისევ აღადგინონ მკვდრეთით, ისევ შექმნან ცოცხალი პიროვნება ებრაელთა ერისა და ნამდვილი ეროვნული, ებრაული კულტურის კერა აღანთონ ძველს, მივიწყებულ სამშობლოში.

ქართველებს ჯერ ებრაელების ბედი არ გვწვევია, მაგრამ ნიშნები კი არის, რომ ჩვენც მათ გზაზედა ვართ დამდგარი, თუ მალე არ ვუშველეთ თავს. ორი უცხო ძალა ანადგურებს ჩვენ სამშობლოს. ერთი არის რუსეთი და მეორე ის ძალა, რომელმაც ნახევარი საქართველო გაანადგურა და დღეს სარწმუნოების ნიადაგზედ კვლავ უფრო აბნევს ისედაც უკვე გაბნეულ მუსულმან ქართველობას. და აბა დაუკვირდნენ მუსულმანი ქართველები, თუ მათაც ებრაელების ბედი არ ეწიათ სამცხე-საათაბაგოს და გურიის ნახევრის (აჭარა-ქობულეთის) განადგურებითა ოსმალებისგან! სარწმუნოების გამოცვლის შემდეგ მუდამ არწმუნებდნენ ქართველებს ოსმალები, რომ ამოეგლიჯათ გულიდან ყოველივე ქართული —ენა, ზნე-ჩვეულება, ეროვნული გრძნობა, სიყვარული საკუთარი სისხლისა, და თურქებად გამხდარიყვნენ. ესეც არ იკმარეს -იყო დრო, როდესაც შეაძულეს თავიანთი მოძმე, მათი სისხლი და ხორცი ქრისტიანი ქართველები, რომლებთანაც ერთად მათვე შექმნეს საქართველოს დიდი სახელმწიფო, მისცეს საქართველოს უდიდეს მეფეთა გვარი--გვარი ბაგრატიონთა, რომელთა უწმინდესი თესლის ნაყოფი იყვნენ დიდი დავით აღმაშენებელი და თამარ დედოფალი, -მისცეს საქართველოს შავთელი და რუსთაველი და მრავალი სხვა დიდებული მწერალი, მხედართ-მთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. დიახ, საქართველოს დიდება საქართველოს იმ ნაწილმა შექმნა, რომელიც შემდეგ ოსმალებმა იგდეს ხელში და გაანადგურეს, და ამ დიდებულ ქართველთ გამუსულმანების შემდეგ შეაძულეს დანარჩენი ქრისტიანი ქართველობა, რომელთანაც ერთად მათთან საუკუნოებით ეცხოვრათ და შეექმნათ საქართველოს ისტორია და მისი დიდება. აი, ეს ეშმაკისაგან დათესილი ღვარძლი და სიძულვილი ძმათა მიმართ იყო მიზეზი მაჰმადიან ქართველთა ოსმალეთში გაბნევისა, როდესაც რუსეთმა საქართველოს შემოუერთა ძველი, ოსმალთაგან დაგლეჯილი და წაღებული საქართველო. მიდიოდენ ქართველები ასობით და ათასობითა, რადგანაც მოლები და ხოჯები ეუბნებოდენ-მოვლენ ისევ ქრისტიანი ქართველები და სარწმუნოებას წაგვართმევენო! მიდიოდენ, თითონაც არ იცოდნენ სად- და თითქმის ორი მესამედი სამცხე-საათაბაგო დაცალიერდა, გაიბნა და დაიკარგა ამდენი ქართველობა ოსმალეთის დიდის იმპერიის თვალ-უწვდენელ სივრცეზე. მტერმა ისარგებლა შემთხვევით და ქართველთაგან დაცლილ ადგილებზედ რუსის მთავრობის წყალობით მყისვე დაიდგა სამკვიდრებელი, და დღეს იქ, სადაც ერთ დროს რუსთაველის ქართული მეფობდა, სადაც მწერლობის ბუდე იყო მთელი საქართველოსთვის, დღეს იქ შავი ტურა-მელები ღმუიან და ქართველთ სამშობლოსაც კი ეცილებიან! ის ქართველები კი, რომელთაც სამშობლო დაკარგეს და ოსმალეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გადასახლდენ, რაღა არიან? მგზავსნი ებრაელთა, უსამშობლონი და სხვისი სტუმრები. ბევრი დიდი სახელწიფო მოღვაწე მისცა ოსმალეთს ქართველობამ, მაგრამ ისინი ოსმალეთის დიდებას ემსახურებოდნენ და არა საქართველოსას. ბევრი სახელწიფო და საზოგადო მოღვაწეა დღესაც ოსმალეთში ქართველთა სისხლისა, მაგრამ ამით ოსმალეთს ემატება და არა საქართველოს. ენა ქართული თან და თან ისპობა გადასახლებულ ქართველთა შორის და ბოლოს და ბოლოს სულ უნდა მოისპოს, ე. ი. იგი უნდა მოკვდეს, უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა მთელი ის ქართველობა, რომელიც ერთ დროს ნახევარ საქართველოს მიწა-წყლის ბატონ-პატრონი იყო. ვინ რას იგებს ამით? მტერი და მოძულე საქართველოსი! ქართველობა ჰკარგავს თავის ღვიძლ შვილებს, ვინცა კვდება, მისი სახსენებელი ჰქრება და არა ქართველად, არამედ თურქად იხსენიება, ხოლო თვით ოსმალებს კი ემატებათ ამით, რადგანაც ნიჭიერ და ლამაზ ქართველთა გათურქებით გონება მათი მაღლდება და სისხლი მათი კეთილშობილდება. რუსებს ეს უხარიათ, რადგანაც ამით მცირდება რიცხვი ქართველთა, და უხარიათ აგრეთვე სხვა მტრებს, რომელნიც ტურებივით, ქურდულათ მისჩერებიან ქართველთაგან დატოვებულ მიწა-წყალს და ეპატრონებიან მას. აი ვინ ხარობს და ჩვენ კი დღემდის ვერას ვხედავთ, თუ რა მოგველის, რა განსაცდელში ვართ.

შინ დარჩენილ ქართველთათვის რუსის მთავრობა არის მოვლენილი დღეს რისხვად და ცეცხლად. ეს ერთი საუკუნეა, რაც იგი ანადგურებს საქართველოს ნივთიერ და სულიერ საუნჯეთა. საქართველოს მიწა-წყლის უმეტესი ნაწილი სახელმწიფოდ გამოაცხადა, საქართველოს განაპირა ადგილებზედ მის საუკეთესო ნაწილებში გადამთიელთაც კი ასახლებს, რომ ქართველთა მტერი მოიმადლიეროს და მათი შემწეობით ბოლო მოუღოს ქართველთა უპირატესობას საქათველოში, ჩვენი თავად-აზნაურობა, გარყვნილი და რუსის მოხელეებად გადაქცეული, რუსის მოხელის სულითა და გულით ისიც კი, ვინც მოხელე არ არის, ხელს უწყობს მთავრობასა და საქართველოს მტრებს საქართველოს მიწა-წყლის გაფლანგვაში. პატარა ხანს იქით, როდესაც ამგვარად ხელიდან გამოგვეცლება მიწა-წყალი, რუსის მთავრობა და ჩვენი სხვა შინაური და გარეული მტრები გვეტყვიან: რაღას ფართხალობთ, საქართველოში დღეს უცხო მეტია ქართველებზედ და მაშ თქვენი დამოუკიდებლობის უფლება აღარ არსებობსო! უკვე გაისმის კიდეც ეს ხმები, და არა მარტო მტერთაგან, არამედ თვით იმ ქართველთაგანაც, რომელთაც ერის მეგობრებად მოაქვსთ თავი და ნამდვილად კი თავიანთი შეუგნებლობითა და სიბრმავით უსაშინელესი მტრები არიან საქართველოსი! რუსის მთავრობამ მოსპო ქართული ენა სასამართლოში, სკოლებში და ყოველგვარ საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ენა კი არ ვითარდება არასოდეს, თუ იგი აუცილებელი სახმარი ენა არ არის სკოლაში და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებაში, თუ იგი სავალდებულო ენა არ არის, განსაზღვრულ ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხმარებული, ამიტომ არის ჩვენი მწერლობა დაქვეითებული. იგი ნაყოფია სამშობლო ენისადმი თავისუფალი სიყვარულისა, და ამა ენის ორგანიულ განვითარებისა ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებთან განუყოფლათ. რუსის სამართალი, თავის თავადაც საზიზღარი და თვით რუსთათვისაც დამღუპველი, პირდა-

პირ განმანადგურებელია ქართველისთვის თავისი სიმკაცრით, უსამართლობითა და მიკერძოებით. სარწმუნოებასაც არ გვანებებენ ვემსახუროთ ქართულის ენითა და ქართულ ეკლესიის საშვალებითა. ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მაგიერ დღეს რუსის ექსარხოსების ბატონობაა საქართველოში. გაიტაცეს საეკლესიო ქონება, გასცარცვეს ეკლესიები, შეაგინეს წმინდათა-წმინდა, სჯული და სინიდისი ქართველთა და სრულიად უდანაშაულო ქართველი მღვდელ-მთავრებიც კი ცივ ქვეყნებში გადაასახლეს. ქართველი ჯარის-კაცი დღეს რუსეთის ცივ ქვეყნაში იხდის სამხედრო ბეგარას და შინ ან ცოცხალი ვერ აღწევს, სამსახურის გათავებამდი ესალმება წუთი-სოფელს, ან და ჭლექიანი და სხვა სენით შეპყრობილი ბრუნდება. რუსის მთავრობისაგან დანიშნული მოხელეები ლოთ მექრთამეთა ბრბოა; რუსის უფროსები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში-მაზრის უფროსები, ბოქაულები, გუბერნატორებიც კი პირდაპირ მეკობრეთა მეგობრები და მოთავეები ყოიან და სცარცვავენ ხალხს და ნაცარცვს უსირცხვილოთ იყოფენ, მხოლოდ როდესაც სულ გაატყავებენ ხოლმე ხალხსა და მათი ავაზაკობაც ყველასათვის თვალსაჩინო ხდება, მაშინ თუ მოაგონდება ხოლმე რუსის მთავრობას მათი სამსახურიდან გადაყენება, მაგრამ მათ ადგილზედ სხვებს, უარესებს ნიშნავს. ამას დაუმატეთ რუსის მთავრობის მიერ განადგურება საქართველოსი ბაჟებით, გადასახადებით და სხვა!... რამდენიც არ უნდა ჩამოვთვალოთ. ყველგან ჩვენ სამშობლოში მტერი კალიასავით არის მოდებული, მშიერი ნადირივით არის შემოსეული.—კანონისა და უკანონობის სახელით ჰგლეჯს და სწეწავს უბედურ საქართველოს. დაეცა ქართველთა სულიც, ვეღარ ვუწევთ ჯეროვან წინააღმდეგობას შემოსეულ მძარცველთა და მოძალადეთა ბრბოს... ამიტომაც გვჭირდება საკუთარი სახელწიფო, რომ ბოლო მოეღოს ამდენ ტანჯვას ერისას და დავამკვიდროთ ჩვენი საკუთარი საზოგადოებრივი ცხოვრება, ჩვენ თვითონ წაუძღვეთ ჩვენ ნივთიერ და სულიერ განვითარების საქმეს. ჩვენ უნდა გვყავდეს საკუთარი ქართული მთავრობა, ხალხისაგან ამორჩეული! ჩვენი მიწა-წყალი შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნამდე—ჩვენი საკუთრება უნდა იყოს! ჩვენი სამართალი, ჩვენი ეკლესია, ჩვენი საკუთარი საზოგადო დაწესებულებანი, ქართულის ენითა და ქარველთა სულთან შეთანხმებული- აი რა გვესაჭიროება, აი რა არის საქართველოს სახელმწიფო და რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი, ჩვენი მისწრაფება, თუ არ გვინდა, რომ ჩვენი სახსენებელი გაქრეს საუკუნოდ და აღარ იხსენიებოდეს ერთა შორის.

ქართველ ხალხს ძველს დროს დიდი ნიჭი ჰქონია სახელმწიფოს შექმნისა და მართვა-გამგეობისა. პატარა ერი ვიყავით, მარგამ მაინც მეცხრამეტე საუკუნემდე მოვიტანეთ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის დროშა და ეს პირველი დამამტკიცებელი საბუთია იმისი, რომ გვესმოდა და შეგვეძლო სახელმწიფო მართვა-გამგეობა და საერთაშორისო პოლიტიკა. ვინც იცის საქართველოს ისტორია, კარგათ მოეხსენება, თუ როგორ შეერთდა იგი პატარა სამთავროებისაგან დიდ სახელმწიფოდ და როგორ განვითარდა იგი დავითისა და თამარის დროს. ისიც ვიცით, თუ როგორი საშინელი ზიანი მიაყენა საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობასა და ერთობ კულტურას მონღოლთა შემოსევამ, რომლის შემდეგაც საქართველოს შეერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება ყოვლად შეუძლებელი გახდა.

ვიცით აგრეთვე თუ, რა დღეს აყენებდნენ ნაწილ-ნაწილად განყოფილ საქართველოს სპარსელები და ოსმალები, რომელთაგანაც პირველთა მეფემ შახ-აბაზმა მთლათ მოსპობა მოინდომა აღმოსავლეთ საქართველოსი და ასი ათასი ქართველი ტყვედ წაიყვანა სპარსეთში და ამაზე მეტი გასწყვიტა თვით საქართველოში, ხოლო ოსმალებმა საუკეთესო ნაწილი საქართველოსი, სამცხე-საათაბაგო და გურიის უმეტესი ნაწილი გაანადგურეს და საუკუნოდ მოსწყვიტეს საქართველოს. მაგრამ მაინც შევინარჩუნეთ კიდევ დამოუკიდებლობა და საკუთარი სახელმწიფო; საქართველო მაინც არსებობდა მიუხედავად შავი დროისა, რომელიც მეცამეტე საუკუნიდან მოკიდებული მეცხრამეტეს დასაწყისამდე არ შეწყვეტილა და ეხლაც გრძელდება ჩრდილოეთის ვეშაპის დამკვიდრებითა.--- რუსეთი იმიტომ მოვიწვიეთ ჩვენ თვითონ საქართველოში, რომ ჩვენი მეფეები დარწმუნებულნი იყვნენ რომ სხვა საშველი აღარ იყო. მაგრამ რუსეთისათვის ჩვენ არ ჩაგვიბარებია ჩვენი ბედ-იღბალი შეუგნებლად და ყმებად არ დავსახელებივართ მას: ჩვენ საერთაშორისო ხელ-შეკრულობანი დავსდეთ რუსეთთან.

ერეკლე მეფისა და ეკატერინე მეორის 1783 წლის ხელშეკრულობაში აღნიშნულია ის პირობები, რომლითაც რუსეთი ჩვენში უნდა შემოსულიყო, საქართველოს უნდა შერჩენოდა თავისი მთავრობა ---ეგრედ წოდებული „უმაღლესი მთავრობა საქართველოსი,--- დამოუკიდებლობა ეკლესიისა, საკუთარი ფული, მხედრობა, სასამართლო და სხვ. მხოლოდ სუვერენიტეტი საქართველოს სახელმწიფოსი რაოდენადმე იზღუდებოდა და საქართველოს სახელმწიფო რუსეთის პროტექტორატის, ე.ი. მფარველობის ქვეშ რჩებოდა. საქართველოს თავის დღეში არ უარუყვია საკუთარი უფლება სახელმწიფოს ქონებისა, საქართველოს სახელმწიფო ძალით მოსპეს რუსებმა, მათმა ფიცის გამტეხმა ხელმწიფეებმა, მას შემდეგ, რაც იგინი კანონიერად, ხელშეკრულობის ძალით შემოვიდნენ საქართველოში და მეორე ღღესვე იწყეს ფიცით განმტკიცებულ პირობათა დარღვევა და ფეხ—ქვეშ თელვა საქართველოს უფლებათა. დღიდან მათის დამკვიდრებისა საქართველოში ჩვენ დრომდე გრძელდება ეს საშინელი ვერაგული ბარბაროსობა რუსთა საქათრველოს მიწა-წყალზე.

როდესაც რუსეთმა შემოსვლისათანავე დაიწყო ხელშეკრულებათა დარღვევა და საქართველოს განადგურება, დევნა იმ მამულიშვილთა, რომელნიც ვერ შეურიგდნენ მტრად მოსულს მეგობართა, საქართველო არც მაშინ დანებებია მტერს ლაჩრულად. 1804 წლიდან მოყოლებული საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებში მუდამ იყო მოძრაობა და იარაღით ბრძოლა რუსის მთავრობისა და მხედრობის წინააღმდეგ, მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა ეს მოძრაობა მთიულეთში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, სვანეთში, აფხაზეთში, ყველგან, სადაც კი გაიგეს, თუ რა იყო რუსის მთავრობის დამყარება ჩვენში, თუ რა ღვთის აცხლად მოევლინა ქართველ ერს ეს „ერთ — მორწმუნე მეგობარი“. მაგრამ ფუჭად ჩაიარა ჩვენმა ბრძოლამ, დაღლილმა და დაქანცულმა ერმა საუკუნოთა განმავლობაში გარდახდილ ომებითა უზარ—მაზარ სახელმწიფოს დამარცხება და განდევნა ვერ შესძლო. დავმორჩილდით

ბედს, თავად—აზნაურობა ჩვენი ერთგულ ყმად დაესახა მთავრობას და მთელი კავკასიაც კი დააპყრობია თავისი ხმლითა. დღესაც Iიგი მისი ყურ მოჭრილი მონაა. მადლობა ჩვენს ბედსა, რომ ამ საშინელმა მტრად მოვლენილმა ძალამ ასის წლის განმავლობაში ჩვენი სრული მოსპობა ვერ მოახერხა. ბევრი რამ დააკლო მან ჩვენს ერსა მიწაწყლის წართმევითა და ჩვენი სულიერი ცხოვრების გახრწნითა, მაგრამ დღეს კიდევ არის საქართველო, ქართველი ერი ქართულ ენაზედ მეტყველი, მოსურნე ეროვნული ცხოვრების განგრძობისა და განვითარებისა. რაც არ აკლებენ განგებ რუსის მოხელე მწერლები და სტატიკოსები, აგრეთვე მათი ქართველი მიმდევარნი, ჩვენი ერის რაოდენობას, მაინც რიცხვი ქართველ მართმადიდელთა, მაჰმადიანთა და კათოლიკეთა ერთად ორ ნახევარ მილიონს აღემატება საქართველოს მიწა-წყალზე და ოსმალეთში. როგორი ჯოჯოხეთური მანქანებიც არ უნდა იხმარონ რუსის მოხელეებმა და მათმა მიმდევარმა ქართველებმა, რომ ეროვნულად ჩამოაშორონ აფხაზეთი საქართველოს, ეს ქვეყანა მაინც ნაწილია საქართველოსი; აფხაზები ჩვენი მონათესავენი არიან ენითა და კულტურითა, აფხაზეთი იყო არა თუ ნაწილი საქართველოს პოლიტიკურის სხეულისა, არამედ ხშირად შემომქმედი საქართველოს პოლიტიკურის ერთობისა. და განა წინად სამეგრელოსა და სვანეთის ჩამოშორებაც არ უნდოდათ ჩვენს მტრებსა? - მაგრამ ვერ მიაღწიეს მიზანს. დღეს აფხაზების შეუგნებლობითა და დაქვეითებით სარგებლობენ და აგონებენ აფხაზებს, - ქართველები თქვენი მტრები არიანო, მაგრამ აფხაზებშიც შედის შეგნება და მალე ისინიც დაინახავენ სად არის მათი სამშობლო და რომელ სახელმწიფოს შექმნასა და გაძლიერებას უნდა ემსახურონ. - განა ესევე მტერნი საქართველოსი მაჰმადიან ქართველებსაც არ აგონებენ—თქვენ მუსულმანები, მაშასადამე **თურქები** ხართო და ამით არ აძულებენ მათ ქართველებსა? მაგრამ დღეს მაჰმადიან ქართველთა შორის იმდენი შეგნება კიდევ არის, რომ რუსის მოხელეთა სიტყვებს, სამტროდ მიმართულს, ყურადღებას არ აქცევენ და თავიანთ უძველეს ძმებს არ ემტრობიან და არ შეიძულებენ.

დიახ, დღეს კიდევ არსებობს ქართველი ერი და საქართველოს ტერიტორია. საქართველოს ტერიტორიაზედ, მთლად რომ ავიღოთ, ოთხმოცი პროცენტი ქართველი სახლობს და ეს საკმარისი რიცხვია ერისა, რომ თავის ისტორიულ საკუთრებასა ჰფლობდეს. ამბობენ საქართველოს ზოგიერთ ქალაქებში უმეტესობა უცხოელები არიანო, და ეს მოჰყავთ მიზეზათ, რომ ქართველებს თავის მიწა-წყალზედ ბატონობის უფლებას ართმევენ. მაგრამ განა სხვაგან ოტაა ისეთი ქალაქი, რომ უცხოელებს დაუბუდნიათ და განა ამიტომ აქვს ვისმეს უფლება მასპინძელი შინიდან გამოდევნოს? ვინ დაუმტკიცა ვარშავა ან სალონიკი ებრაელებს, ან გინდ პეტერბურგი ფინებსა და გერმანელებს? ამის გარდა საქართველოს ქალაქებში ქართველთა რიცხვი ყველგან ნახევარს აღემატება (გარდა თბილისისა). ამბობენ, საქართველოს განაპირა ადგილები უცხოელებით არის უმეტესად დასახლებული და ამიტომ იგინი საქართველოს აღარ ეკუთვნიანო, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ამგვარი ადგილების მხოლოთ უმცირესობაა საზოგადოთ დასახლებული, აუარებელი ადგილი კი დაუსახლებელია, აუარებელი ადგილი რუსის სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს და როდესაც საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ადგილებს თავის საკუთრებად აქცევს, უცხო მოსახლეთ უკვე დასახლებულ ადგილებიდან არ აყრის, მაგრამ დაუსახლებელ ადგილებზე რომ უმიწა — წყლო ქართველობა დაასახლოს, ამის უფლებას კი ვერავინ წაართმევს მას. რას ჰქვია, აქაო და განაპირა ადგილებში უცხოელებს საკუთრება აქვთ და ამიტომ ეს ადგილები საქართველოს კუთვნილებას არ წარმოადგენსო! საკუთრება ბევრნაირია. რაც პირადად უცხოელებს, სამართლიანად თუ უსამართლოდ, დროთა ვითარებაში დაუსაკუთრებიათ მიწა—ადგილი, მას არავინ ედავება მათ, მაგრამ ვინ დაუმტკიცა მათ მთელი მაზრები, მთელი მესამედი საქართველო, ეს ისტორიული საკუთრება მთელი ერისა, რომელმაც საუკუნოების შრომითა და სისხლით დაიცვა იგი ათასს მტერთაგან? — არა, ეს ადგილები ჩვენი ერის საკუთრებას შეადგენს. მთელი სამცხე — საათაბაგოს ადგილები სამცხე-საათაბაგოელების არის. ამ ადგილებს, თავიანთ ძველ სამშობლოს უნდა დაუბრუნდნენ დღეს ოსმალეთში გადასახლებული ჩვენი მოძმეები.

მომავალი საქართველოს სახელმწიფო უნდა აღსდგეს და განახლდეს იმ ძველ საზღვრებში, რომელიც წინად ზღუდავდა ქართველი ერით დასახლებულს, მათი სისხლით მორწყულ და შრომით გაპოხიერებულ სამშობლოსა; — აფხაზეთიდან და რკინის პალოდან დაწყებული, სამხრეთით და დასავლეთით მთელი სამცხე-საათაბაგო და აჭარა-ქობულეთი, აღმოსავლეთით საინგილო, დაღესტნისსაზღვრამდის, — აი იასისტორიული ადგილი, სადაც უნდა აღმოცენდეს ახალი სახელმწიფო მსქართველოსი, თავისუფალი რესპუბლიკა სრულიად საქართველოისა. აზის უფლება აქვს ქართველ ერსა, ამ უფლებით იგი არავის უფლებას არარღუდავს, მხოლოდ თავისას იბრუნებს, უსამართლ ოდდაძალა დობით წაათმეულსა.

ჩვენში ყველა ხალხის კეთილდღეობაზე ყვი რის დ თითქოს ზრუნავს. განსაკუთრებით ისინი ყვირიან მუდამ ხალხის კეთილდღეობაზე, უკეთეს მომავალზე და სხ., ვინც ძირიან-ფესვიანად ფხვრის საქართველოს პოლიტიკურ იდეალსა და უარჰყოფს მის პოლიტიკურ თავისუფლებას. საკვირველია! — ვერსად ვერ ნახავთ დღეს ისეთს ერსა, რომ პოლიტიკურად და ეროვნულად დამონებული იყოს და თან კეთილდღეობას განიცდიდეს, ან შესაძლებელი იყოს კეთილდღეობა პოლიტიკურსა და ეროვნულ მონობაში. კეთილდღეობა ერისა მისი თავისუფლებაა, ნივთიერი უზრუნველყოფა, სულიერი და ზნეობრივი სიმაღლე. ვერც ერთს ამას ვერ შეიძენს ერი, თუ სახელმწიფო არა აქვს. სახელმწიფო მას აძლევს უფლებას იქონიოს საკუთარი დაწესებულებანი, რომ უზრუნველჰყოს ცხოვრება და ამაღლდეს სულიერად. ის ერებიც, რომელთაც ცუდი სახელმწიფო წესწყობილება დაუმყარებიათ ჟამთა ვითარებაში, სცდილობენ დასცენ ძველი წესწყობილება და ახალი უკეთესი შეჰქმნან. ამასაც ეწოდება **რევოლუცია**; იგი სხვა არა არის რა, თუ არ ძველ, ცუდ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ნაცვლად ახალთა დამყარება და განმტკიცება. პროგრესიც ის არის, როდესაც მუდამ უმჯობესდებიან ეს დაწესებულებანი საზოგადოებაში და მისი სულიერი კულტურის ღონე მაღლდება თან და თან, ზნეობა ფაქიზდება და იწმინდება... საქართველოს სახელმწიფო მოგვცემს უპირველეს ყოვლისა საშვალებას შეეკავშიროთ მთელი ქართველი ერი, ერთ განსაზღვრულ მიწა-წყალზე, რომელ-

საც საქართველო ჰქვია, ერთ საზოგადოებად, რომელსაც ექნება საშ-
ლება განსაზღვრული კანონებით გამოხატოს თავისი სურვილი როგორ
შინაურ საქმეთა თავისუფლად და თავის ნებაზე, საუკეთესოდ მოსაწყი
ბად, ისე გარეშე ერთა სამეზობლოდ და მათთან მრავალ საერთაშორის
საქმეთა მოსაწესრიგებლად. ქართველი ერის წარმომადგენელნი საუკეთ
სო დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული კენჭის ყრის წესით ამორჩეულნ
შეკრებილნი საქართველოს სხვა სხვა კუთხიდან თბილისის პარლამენტში
გამომხატველნი ქართველი ერის სურვილთა, შეიმუშავებენ ისეთს კანო
ნებს, რომელნიც პირდაპირ გამომდინარეობენ ხალხის საჭიროებიდან დ
რომელთაც უნდა მოაწესრიგონ ნივთიერი და სულიერი ცხოვრება ქარ
თველ ერისა. თავისუფლად მცხოვრებ და მოწესრიგებულ საზოგადოებაშ
სურვილი და შეძლება მუშაობისა ერთი ათად იზრდება, თავისუფალ
სახელმწიფოს შეძლება აქვს აგრეთვე ხელსაყრელი ხელშეკრულობანი შ
ჰკრას სხვა სახელმწიფოებთან, სავაჭრო და სამრეწველო; ამას დაუმატე
აუარებელი სიმდიდრე საქართველოსი და შესანიშნავი გასავალი გზა მის
შავი ზღვიდან ევროპაში — და ადვილი წარმოსადგენია, რა ეკონომიურ
შემოქმედება გაჩაღდება საქართველოში ეროვნულ თავისუფლების დრო
მაშინ აღარ იქნება მუდმივი ლაპარაკი უცხოელების უმეტესობაზე ჩვ
ქალაქებში, რადგანაც ქართველი ვაჭრები და მრეწველები უპირატესობ
ძლიერ მალე მოიპოვებენ სამშობლო ქალაქებში ისე, რომ ერთ უცხოსა
არ მიაყენონ არავითარი შევიწროება ძალითა და უსამართლობითა. ქარ
თველთა ტერიტორია ისე აჭრელებული აღარ იქნება, როგორც ეხლ
არის, რადგანაც ჩვენ ხელთ იქნება ძალა იქ გავმართოთ ქართველთა მო
სახლეობა, სადაც ეს უსაჭიროესია სამშობლოსათვის, ისე, რომ არც ე
თი უცხოელი არ ავყაროთ და არ ავაწიოკოთ. თავის თავადაც გაიწმინ
დება საქართველო ათასგვარ უცხოელ ჩარჩისაგან და ჩამოთესლებულ მ
ქთახორასაგან, რომელიც დღეს სხვა და სხვა მიზნითა და სხვა და სხ
ძალის შემწეობით არის ჩვენში დამკვიდრებული და მათ ბატონობას ჩვ
ნი უკეღმართი პოლიტიკური მდგომარეობა უწყობს მხოლოდ ხელს.-ს
კუთარი სასამართლო, სამშობლო ენაზედ, სადაც ბატონობს კანონი, შ
მუშავებული ქართველ კანონმდებელთაგან, კანონი შეთანხმებული ხალხ
ცხოვრებასთან და სულთან; — სკოლა ეროვნული, მეცნიერება სამშო
ბლო ენაზედ, რომელიც უნდა შეიქმნას უმძლავრეს იარაღად ერის ნივ
თიერ და სულიერ წინსვლისა; — ეკლესია ქართული, თავისუფალი დ
მაღალ ზნეობრივ იდეალების განმავრცელებელი ხალხში, სინიდისის თ
ვისუფლების მატარებელი და არა დამხშობი მისი; — საკუთარი ფულ
საკუთარი ფინანსები ისეთ ნაირად მოწესრიგებული, როგორიც აუცილ
ბელი იქნება ჩვენი ნივთიერი ცხოვრებისა და სხვა ერებთან ეკონომიუ
განწყობილების მიხედვით; — საკუთარი მხედრობა, არა ყაზარმულად დ
მონურად აღზრდილი, ცივ რუსეთში დაჭლექებული, გალოთებული
გარყვნილი, არამედ ნამდვილ ვაჟკაც და განათლებულ, მამული შვილ
ომართაგან შემდგარი მხედრობა, და სხვ. — აი რას მოგვცემს თავისუფ
ლი რესპუბლიკა საქართველოისა. მაშინ მწერლობა და ხელოვნება ჩვენ
ერთობ სული და ზნეობა ჩვენი, ხასიათი და კაცობა ჩვენი მაღალი იქნ
ბა, განსპეტაკებული და ღირსი პატივისა, რადგანაც დიდ სულიერ საუ

ჯეს მხოლოდ თავისუფალი სული ჰქმნის და არა სული მონისა. მაშინ ენა ქართული აღარ იქნება „ქველ-მოქმედების“ საგნად სამშობლოს წინაშე, არამედ განუყოფელი ერთობ ქართველთა ცხოვრებისაგან, მსწრაფლ განვითარდება იგი და კვლავ აღსდგება იგი მთელის თავის ძველი დიდებითა, კვლავ მოგვესმის „სიტყვა ქართული რუსთაველისა“

1913 წელი და ქართველი ერი.

ერის ცხოვრება თითო წლობით არ განისაზღვრება და ძნელიც არის ასე მოკლე ხანში რაიმე ღრმა ცვლილება აღვნიშნოთ. მაინც ჩვენ შეძლება გვაქვს საერთო ისტორიულ მსვლელობაში გასული წელი, როგორც ერთი რგოლი ჩვენი არსებობისა, გავითვალისწინოთ და დავაფასოთ.

როგორც კერძო პირთა, ისე ერთა შორისაც მოიპოვებიან უბედურნი და ბედნიერნი. უსათუოდ, ქართველი ერი უბედურ ერთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. იშვიათია ისეთი აუტანელი საერთაშორისო პირობები, რომელიც ისტორიამ ჩვენ გვარგუნა. და თუ კარგად გავითვალისწინებთ ამ ჩვენ მდგომარეობას, ჭეშმარიტად იძულებული ვიქნებით ვაღვიაროთ, რომ ქართველ ერს დიდი სიცოცხლის ძალა, დიდი თავდაცვის უნარი ჰქონდა, რომ დღემდის შეუჩერებელ ისტორიულ ქარცეცხლში თავისი არსებობა მოიტანა, არსებობა ერისა, რომელსაც საზოგადოებრივ შემოქმედების ყოველ სფეროში — მატერიალურსა თუ სულიერში აქვს ისეთი ნიმუშები, რომელნიც მას უფლებას აძლევენ სხვა მოწინავე, კულტურულ ერთა შორის თავისი პაწია, არა სასირცხო ადგილი დაიჭიროს.

თუ უბედური ვიყავით ხანგრძლივ ისტორიულ წარსულში, ეს სახსენებელიც არაა იმასთან შედარებით, რაც ბედმა ამ ასი წლის წინად გვარგუნა. ესაა რუსების შემოსვლა საქართველოში. ასი წლის უცხოელთა ბატონობამ მეტად დააძაბუნა ქართველი ერი და რაც უფრო სავალალო და ჩამაფიქრებელია, ერთი მისი ნაწილი 'გარყვნა, გაათახსირა, ჩამოაშორა წარსულს, თავის ბუნებრივ ზოგად პიროვნებას და იმდენად დასცა, რომ წარბ შეუხრელად ქებასაც კი უძღვნის მას, ვისი წყალობითაც ქართველ ერის არსებობა უკიდურეს განსაცდელშია.

ყოველივე სახელმწიფოს თავისებური სისტემა აქვს დამონებულ ერებზე ბატონობისა. რუსის სახელმწიფოს ბატონობის სისტემა იმდენად განმანადგურებელია, რამდენადაც მარტივი. მოუხეშავი სამხედრო ძალით დარბევა, აკლება და აოხრება დამონებულისა, მატერიალურად წელში გაწყვეტა, მაგარ მუხრუჭის მოჭერა და შემდეგ ასე დაქანცულის და სისხლით დაცლილის გონებრივად გადაგვარება, გათქვეფა. ტოლსტოვებს, გოგოლებს, ტურგენევებს ყოველთვის წინ უძღვიან კაზაკები, მოთარეშე მოხელეები, რომელნიც ყოველივე ადამიანურ უფლებას უარჰყოფენ. ეს ორმაგი სისტემა ერთა აკლებისა არის დამახასიათებელი თვისება რუსის სახელმწი-

ფოებრივ შემოქმედებისა, ის უცვლელია თავის მიმდინარეობაში და ისეთივეა ჩვენში, როგორიც სხვაგან. სამწუხაროდ, ეს მარტივი აზრი ჯერჯერ არაა ჩვენში საკმაოდ შეგნებული და ქართველობის ის ნაწილი, რომელიც სამშობლოს ღალატობს პირად კეთილდღეობისთვის, ემსახურება მის მომსპობთ, ხშირად ქება-დიდებითაც მოიხსენიებს ჩვენ გამანადგურებელთ. განსაკუთრებით მიღებულია ვორონცოვის ქება, იმ ვორონცოვისა, რომელმაც მეტი ნიჭი გამოიჩინა რუსის სისტემის განმტკიცებაში, გააძლიერა ბატონყმური ტვირთი, გააბა ქართველი თავად-აზნაურობა ისეთ ქსელში, რომ სულ ტყავი გააძრო. როგორც ვიცით, ერთმა დიდმა მგოსანმა კიდეც გალექსა ამ მოხელის ქება. სამწუხაროა, როცა მგოსანი ერის უფაქიზეს აზრთა მატარებელი ასეთ სიგლახეს სჩადის, მაგრამ ჩვენზე ახია, რადგან „უძაღლო ქვეყანაში კატას ვაჩხავლებთ“ და პოლიტიკურ საკითხების პოემებით და ლექსებით გადაჭრას ვცდილობთ. რუსეთში წარმომადგენლობითი სისტემის შემოღებამ არამც თუ არ შეასუსტა მთავრობის გამანადგურებელი სისტემა, პირიქით, ის გააძლიერა, მას ახალი ძალა მისცა. ეს მოსალოდნელიც იყო. მხოლოდ ჩვენში შეგხვდებათ პოლიტიკური უსუსურნი, რომელნიც გეტყვიან — მთავრობაა ჩვენ რომ გვღუპავს, თუარა რუსის ხალხი სულ ჩვენი კეთილდღეობისა და თავისუფლების ფიქრშიაო. მათ წარმოდგენაში მთავრობა სულ სხვაა და ხალხი, რომელმაც ეს მთავრობა შექმნა, სულ სხვაა. მეტია აქ ამ უსუსური აზრის დარღვევას შეუდგეთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თუ დღემდის რუსის ხალხი უფრო პასიური და სტიქიონური მოძრაობით ახორციელებდა თავის მიდრეკილებათ, დღეიდან, როცა ჩაება მომქმედ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი შემოქმედებაც უფრო მძლავრი, უფრო ღონიერი შეიქმნა. და ის აღარ კმაყოფილდება მარტო სახელმწიფოებრივ დაწესებულებებით დამონებულ ერთა გასასრესად. ის ჰქმნის მათ გვერდით თავისუფალ, იმავე მიზნის მოსამსახურე დაწესებულებათ. ასეთია, მაგ., თბილისში დაარსებული რუსული ბანკი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს რუსების აღებმიცემობის გაძლიერებას ჩვენში. ის ჰქმნის გადასახლებულთა დამხმარე ორგანიზაციებს, აარსებს ამხანაგობებს მამულების შესაძენად, ხელს უწყობს რუსეთიდან ჩვენში ხალხის გადმოსვლას, შეთანხმებულად ილაშქრებს დამონებულ ერთა დაწესებულებების წინაღმდეგ. მაგალითისათვის გაიხსენეთ დიდუბის ეკლესიის გარშემო ატეხილი ბრძოლა. ერთი სიტყვით თუ რუსის მთავრობა თავის სახელმწიფოებრივ მექანიზმს ძველებური სისტემით ამუშავებს, ახლა მას უფრო მძლავრ დამხმარეთ გვერდში ამოუდგა რუსის ხალხივე, რომელიც რაც დღე მიდის, მეტ აქტივობას იჩენს ამ გზაზე. აქ მთელი რუსობა პრინციპიალურად გაერთიანებულია, თუ მთავრობა ცენტრალისტურ ჩაქუჩს თავში გვცემს და გასაქანს გვისპობს, მას ეშველებიან სხვა და სხვა პარტიები, როგორც, მაგ., რუსის სოციალ-დემოკრატია ამავე ცენტრალისტური მიდრეკილებით, რათა შერყვნას იდეიურად წარყვნას ჩვენი ეროვნული სული, ეროვნული პიროვნება და ამით გაუადვილოს თავის მთავრობას მიზნის მიღწევა—ჩვენი ეროვნული მოსპობა. ჩვენ კარგად ვხედავთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს რუსის მთავრობასა და რუსის ს. დემოკრატიის შორის, მაგრამ აქ, ამ ცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრალისტურ გათქვეფაში ის და ყველა მისი ამყოლ—დამყოლი უებრივ აგენტია რუსის ისტორიულ მთავრობისა.

უძლიერესი ერნი, როგორიც არიან ფინლანდია და პოლონეთი ამ ამკლებ შემოსევას უკიდურესი ვაჟკაცობით ებრძვიან. ფინლანდია თავის დაწესებულებათა წყალობით წარმოადგენს ერთს, მჭიდროთ შეკავშირებულ, უმაღლესად განათლებულ, დაუღალავად მშრომელს დემოკრატიას მთელ ევროპაში. უფრო უფრ მდგომარეობაშია პოლონეთი, მაგრამ მისი მაღალი, წმინდა ევროპიული კულტურა გაცილებით სჯობნის რუსისას და ამიტომაც არც ასე ადვილად იხრის ქედს აზიურ—მონგოლურ დესპოტიზმის წინაშე. მაგრამ არიან ისეთი ერებიც, რომელთაც თავისი შინაგანი სისუსტისა, თუ საერთაშორისო პირობებისა გამო ვერ შესძლეს შესაფერი წინააღმდეგობა გაეწიათ რუსის შემოსევისათვის, თან და თან კარგავენ თავიანთ ეროვნულ სახეს და იქცევიან ბრბოთ, რომლის წევრნი უბრალო მასალას წარმოადგენენ სხვა ერთა შესავსებლათ. ასეთია, მაგ. კალმუხები, ყირიმის, თუ ყაზანის თათრები და სხვ. ამ ორ უკიდურეს საფეხურს შორის მოთავსდება ყველა ის მრავალი ერი, რომელთაც ისტორიულ ჩარხის ბრუნვამ რუსის უღელში უკრა თავი.

თუ თავისი წარსულით ქართველი ერი ბევრ სხვა ერს არ ჩამოუვარდება, აწმყოში ის ისე მაგრად ვერა სდგას, როგორც მოსალოდნელი იყო. მიზეზი ორ გვარია. შინაგანი მიზეზი ისაა, რომ ქვეყნიერებაზე შედარებით არც ერთს ერს ისეთი მრავალ-რიცხოვანი თავად-აზნაურობა არა ჰყავს, როგორც ქართველებს. ამავე დროს სუსტია მასში სავაჭრო-სამრეწველო კლასი. თავად-აზნაურობა დღიდან რუსის შემოსვლისა დაეწაფა სამსახურს და ჩინ-ორდენებით დაჯილდოებული, პენსია-ჯამაგირით გატაცებული თავგამოდებით შველის რუსობას ქართველთა დასაცემათ. ამავე დროს ის არის უკიდურესად მფლანგავი და დაუდევარი, რითაც მთელი ერის არსებობას ხიფათში აგდებს. არა ნაკლებ დიდმნიშვნელოვანი მიზეზია საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, რომელმაც ითამაშა უაღრესი როლი მის პოლიტიკურ დაცემაში და ეხლაც, როცა ქართველი ერი ლამობს ფეხზე წამოდგეს, მოიხსნას მონობის უღელი და კვლავ იეროს, საითაც გაიხედავ, მის მეზობლებში დამხმარე, გამამხნევებელი, ან წამქეზებელი არავინ ჩანს. დაუძლურებული და გამოტვინებული სპარსეთი, დარღვევის გზაზე მდგომი ოსმალეთი, სრულ დენაციონალიზაციის პროცესში მყოფი ლეკობა და მის უკან უზარმაზარი მასიურად უკულტურო და ამკლები რუსეთი — აი ის საერთაშორისო პირობებ ,ირომელშიაც საქართველოს უხდება ცხოვრება.

ჩვენში ხშირია დავა იმის შესახებ, თუ რომელ მხარეს ჩვენი არსებობისას აქვს უაღრესი მნიშვნელობა ეროვნულ თავ-დაცვისათვის. შეიძლება თეორიულ სფეროში ამ დავას რაიმე ფასი ჰქონდეს- ხოლო პრაქტიკულ მუშისთვის მას არავითარი ღირებულება არა აქვს. პრაქტიკული მუშა იქ უნდა გაჩდეს, სადაც ერის არსებობას შიში მოელის. უძვირფასესი ორგანოა ადამიანისთვის თვალი, მაგრამ თუ ის საღი გაქვთ, არც კი გრძნობთ მის არსებობას, ხოლო საკმარისია ფეხზე ერთი ნეკი აგტკივდეთ,

მთელი თქვენი ყურადღება მას მიაპყროთ. სამწუხაროდ, არ არის ერთ ერთი მხარე ეროვნულ შემოქმედებისა, რომელიც საკმაოდ გამაგრე-

ბული გვქონდეს და ჩვენ გაძლიერებულ ყურადღებას არ მოითხოვდეს! სამწუხაროდ, რუსის შემოსვლის დროს ჩვენში და შეხდეგაც ჩვენ შედარებით სრულიად მოუმზადებელი დავრჩით. ასი წლის ბატონობამ თავისი ნაყოფი გამოიღო, ქართველ ერს გაუჩნდა მისი მომწამლავი შხამი, ბევრში გაჩნდა ერთგვარი გულგრილობა სამშობლოსადმი, რუსობიას თამაში მოდად გადაიქცა, რუსული პოლიტიკური პარტიები ჩვენში თავისუფლად დათარეშობენ და თავიანთ მიმდევრებს უხვად ჰპოულობენ. ქართველი ერი შეუკავშირებელია და მოსულ ამკლებთა და შინაურ მტერთა იერიში თითქო მას აბრუებს, გზა-კვალს უბნევს. თითქო კიდეც დაკარგა მან არსებობის იმედი. ამ სულიერ განწყობილების, დასასაბუთებლად საკმარისია ორი ფაქტი აღვნიშნოთ. არა ერთს ქართველს შეხვდებით ყოველგან, რომელნიც თავის თავს ქართველს კი არა, კავკასიელს უწოდებენ. ეს უბადრუკები ქართველ ერს ეტნოგრაფიულ კარტიდანაც კი შლიან. მეორე. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რა ღირებულება აქვს ქართველ ერისთვის რუსის საკანონმდებლო დაწესებულებას. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ჯერ არც ერთი დეპუტატი საქართველოდან არ წასულა რუსის სათათბიროში, როგორც ქართველი, ქართული პროგრამით, ქართული პოლიტიკური შეგნებით და ქართული მოთხოვნილებით. არ იფიქროთ, ეს შედეგი იყოს ჩვენი გულ-უხვობისა, დიდ ბუნებავანობის, თითქო იმდენი ძალა შეგვწევდეს, რომ მთელი ქვეყნიერების სამსახური შეგვეძლოს. პირიქით, ნურავის ეწყინება და ჩვენ აშკარად ვიტყვით, რომ ქართველთაგან გაგზავნილი დეპუტატები ფრიად მცირედი საგძლის პატრონნი არიან. არც ერთს ძირითად საკითხში სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა მათ არ ძალუძთ რაიმე გულსახმიერო გადაჭრა წარმოადგინონ, და თუ ეს ჩვენი უკუდო მოზვრები ისე იბერებიან, თითქო ქვეყნიერებას ბუზებს უგერებდენ, ეს აიხსნება მხოლოდ ჩვენი ეროვნული უსუსურობით. ნუ თუ ქართველი ერი იმის ღირსი არ არის, რომ ორი- სამი კაცი მის დროშას ატარებდეს, მის კეთილდღეობაზე ზრუნავდეს, მისი არსებობის საკითხებს სწავლობდეს, იმუშავებდეს და ღრმა შესწავლის შემდეგ თავის აზრს გამოთქვამდეს? და თუ ეს არ ხდება, ვისი ბრალია? არა იმ ორი-სამი პირის, არამედ მთელი ქართველობისა. ამომრჩევლები ეხვეწებიან დეპუტატებს, ნუ ფიქრობთ ჩვენ საქმეებზე, ნუ ზრუნავთ ჩვენთვის, ჩვენ ისეც კარგათ ვცხოვრობთ — აი არხანგელის, ყაზანის გუბერნიას მიეშველეთო — თითქო რუსებს და სხვა ერებს ჩვენ უვიც დეპუტატებზე ნაკლები მომზადებული და შეგნებული ხალხი ჰყავდეს. სამწუხარო და ჩამაფიქრებელია ესეთი მეტიჩრობა. და აი სწორედ გასულმა წელმა თითქო ჩააფიქრა ქართველი ერი. ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, ყველა საქმიანობს ყველა თავის ეროვნულ ფარგალში იზრდება და ვითარდება, ჩვენ კი თითქო გვსურს ძალით იმ ყვინჩილას დავემსგვასოთ, რომელსაც ღორს დაჰკლავენ, თუ თხას, მაინც ზედ წააკლავენ.

ქართველ ერში დიდი ეროვნულ სიცოცხლის ძალაა დაზოგვილი. მაგრამ არაა საკმარისი მარტო ძალა გქონდეთ, საჭიროა სიცოცხლე გსურდეთ. ერთს უბედურ დღეს მთელმა ქართველობამ რომ გადასწყვიტოს-არ მსურს ქართველობა, ხელს ვიღებ ჩვენს ეროვნებაზეო, და თავის მოსპობისკენ მიმართოს თავისი მოქმედება, საქართველო აღარ იარსებებს. მაშ ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობა, ჩვენი წინსვლა, ჩვენი თავისუფლება დამოკიდებულია ჩვენს ეროვნულ შეგნებაზე, იმ მოვალეობის შეგნებაზე, რომელიც ყოველ ქართველს უნდა ჰქონდეს თავის სამშობლოს წინაშე. რამდენად ეს შეგნება ღრმაა, რამდენად იმ ქართველთა რიცხვი, რომელნიც მზად არიან სამშობლოს კეთილდღეობას თავი შესწიროონ, მრავლდება, იმდენად ქართველი ერი წელში იმართება და ყოველივე დაბრკოლებას უშიშრად აიტანს. სწორედ გასული წელი გვიჩვენებს, რომ რუსობიას მოთამაშეთა კრიმანჭულს ბოლო ეღება, ხალხი ღრმად უფიქრდება თავის აწმყო მდგომარეობას და თავის დასაცავ საშვალებათა ძებნაშია. სულიერი გამოფხიზლება, ეროვნულ არსებობისთვის ზრუნვა — აი რაა გასული წლის დამახასიათებელი. ეს სულიერი გაღონიერება იმის თავდებია, რომ ახლო მომავალში შევსძლებთ ვაწარმოვოთ სისტემატიური, ღრმად შეგნებული და გარკვეული ეროვნული პროგრამა.

თუ გასულმა წელმა ეროვნული გრძნობა გააღრმავა, მასთანვე საოცარი სიმწარით გვაგრძნობია ჩვენი ეროვნული სატკივრები, სამაგიეროდ ვერ მოგვცა ვერც ერთ ამ საკითხის შესაფერი გადაჭრა. ბურუსი, რომელიც ჩვენს ეროვნულ არსებობას გარს ახვევია, ჯერაც სავსებით არ გაფანტულა. და აი სწორედ უპირველესი საკითხი ესაა- სისტემატიური მოქმედება, სისტემატიური აღმშენებლობა ეროვნულ არსებობის ყოველ სფეროში. ქართველი ერი იერიშს გაუსდის არა მარტო მისი მატერიალურ არსებობის ნიადაგზე. არა ნაკლები და შეიძლება გაცილებით უფრო საშიშია ჩვენი სულიერი გადაგვარება. რადგან შეიძლება ტერიტორიაც გვქონდეს, ხალხიც იყოს, მაგრამ ისე დაეცეს, ისე დაბეჩავდეს, რომ ვეღარ ეროობდეს, ისპობოდეს. შეგნება ამ საფრთხესი, დარაზმვა ყველა ქართულ ეროვნულ სულიერ შემოქმედების დაცვისადვის მომუშავეთა-აი რაა დღესვე საჭირო. ჩვენ მწერლები შედარებით ბლომად გვყავს. ბევრ მათგანს ღირსეული სახელი მოუხვეჭია. აბა, მიბრძანეთ ყოფილა შემთხვევა ხუთიოდე მათგანი შეკრებილიყოს და ცდილიყოს-საერთო ძალით ჩვენი სულიერი არსებობის პირობები და თავდაცვის საშვალებები გამოერკვია? რას გძინავთ, რას ემალებით ერთმანეთს? რატომ არ გვამცნობთ, რა გვაკლია, რა გავაკეთოთ, რით გიშველოთ, რათა ჩვენი სულიერი შემოქმედება წინ წავიდეს, ამაღლდეს, აყვავდეს?

ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ქართველთა შორის სხვა და სხვა სპეციალობის წარმომადგენელთა რიცხვიც გამრავლდა. მერე სად არიან ისინი? შეაქვთ რამე წვლილი ეროვნულ სალაროში? იხდიან ‚თავის მოვალეობას სამშობლო ერის წინაშე? უჩინარია მათი არსებობა, არარაობაა მათი შემოქმედება. და ეს იმიტომ რომ ვერ შეკავშირებულან, ვერ მოუყრიათ თავი საერთო ძალით მოქმედებისთვის. დროა ბოლო მოეღოს ამ მოვლენას. თუ მოვალეობა ერის წინაშე მარტო გულ-მოსაფხანი სიტყვა არაა, შეკავშირდით ყველანი თქვენი სპეციალობის მიხედვით. მაშინ ძალაც მოგეცემათ და საქმეც გაკეთდება.

მუდმივია ჩვენში ყვირილი სამშობლო ენის დევნის შესახებ სხვადასხვა დაწესებულებაში, განსაკუთრებით სკოლაში. ისიც კი ვერ მოგვიხერხებია, რომ დავიცვათ მცირედი, უმნიშვნელო კუნჭული სამშობლო ენისათვის, რომელიც მოურიდებელ მთავრობას ჩვენთვის დაუტოვებია. ამიტომაა, რომ ერთი ვინმე წუწკი არსება, ვინმე გასპარიანური გულზე ფეხს გვადგამს, და-

გვაინის, გვსპობს და თამამადაც მოიწევს ჩვენსკენ, რადგან მთავრობისა-
გან გამხნევებას მოელის, ჩვენგან კი არავითარ წინააღმდეგობას. დროა
შეკავშირდენ ისინი, ვის ხელშიაც ჩვენი ახალთაობის ბედია, დროა საე-
რთოდ ვიმოქმედოთ და მტერნი და ორგულნი შესაფერად დავსაჯოთ.
გასულ წელს ტერიტორიის საკითხმა განსაკუთრებული ყურადღება მიი-
პყრო, მაგრამ არსებითად არაფერი გაკეთებულა. ჩვენ ამ საკითხს შემდეგ
ვრცლად შევეხებით. მხოლოდ ეხლა შევნიშნავთ, რომ მის გადაკრას დი-
დი თავდადება და მსხვერპლი ესაჭიროება.

ქართველი ერის სზოგადოებრივ შემოქმედების უდიდესი საკითხი არის აგ-
რარული. გლეხი, რომელიც შეადგენს ქართველობის დიდ უმრავლესობას
რომელიც არის მისი უმთავრესი ძარღვი და შემომქმედი ძალა, უმწეო
მდგომარეობაშია. თუ მოძრაობის დროს შეირყა მემამულეთა ძალა, თუ
გლეხობამ შეიგნო ბრძოლის საჭიროება, შემდეგ დამარცხებისა და განა-
დგურებისა, ის თითქო მიყუჩდა და თავგასული მემამულენი ნებაზე მიუ-
შვა. ამ მოვლენას ბევრი მიზეზი აქვს, უმთავრესი კი ის არის, რომ გლე-
ხებს დღემდის ვერ მოუხერხებიათ თავიანთი საკუთარი სამოქმედო პრო-
გრამა შექმნან, პროგრამა შეთანხმებული მათ სოციალურ და პოლიტი-
კურ მდგომარეობასთან. გასულმა წელმა ნათლად დაგვანახვა, რომ გლე-
ხობას თავისი რთულ ბრძოლაში ჩამომრები პოლიტიკური პარტიები ხელ-
მძღვანელობას ვერ გაუწევენ. და თუ გლეხობა მათ აყვა, მხოლოდ უბრა-
ლო მაჩანჩალა იქნება, და ვერც შესძლებს წელში გაიმართოს. მაგრამ
იმავე წელმა საკმაო ნიშნები მოგვცა გლეხთა გამოცოცხლებისა. კოოპე-
რატიულ მოძრაობის თვალ-საჩინო ზრდა, კრედიტის სოფლად მოწყობა
სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესება-ყველაფერი ეს ნათლად გვიჩვენებ
გლეხის წინსვლას, მის შემოქმედების გარღვევებას და გაძლიერებას. ერ-
თი ნაბიჯიც და გლეხი თავს დააღწევს ყოველგვარ გარედან მოსულ მზრუ-
ნველობას. მაშინ მისი სამეურნეო შემოქმედებაც ერთი ათად ფრთას გა-
შლის და მისი ბრძოლაც ჩარჩოთა და მემამულეთა წინააღმდეგ უფრო შე-
გნებული, სისტემატიური და მიზანშეწონილი იქნება.

საკვირველია ქართველ ერის ბედი. უთვალავი ბილიკია გაკვლეული
რომლითაც მოპირდაპირენი მის წინააღმდეგ ილაშქრებენ. და ამ ბილი-
კთა შორის კარგი გატკეპნილი შარა სარწმუნოებას ეკუთვნის. სარწმუნო-
ებრივად ქართველი ერი სამ უმთავრეს ჯგუფად დაყოფილია. და სამივ
ჯგუფში დაახლოვებით ერთგვარი პროცესი სწარმოებს. სარწმუნოება ქა-
რთველ ერის მოსასპობ იარაღად გადაიქცა. ორტოდოქს ქართველობა
მაგრად ჩაჭიდა ხელი რუსის მთავრობამ, გარყვნა და დაიმონავა ორტო-
დოქსი სამღვდელობა. და ეს ანაფორიანი მოხელენი გაცილებით უფრო
საშვალებებში მოურიდებელნი საოცარ შხამად ევლინებიან ქართველ ერს
მხოლოდ სულ მცირედი ნაწილი გრძნობს იმ საზიზღარ მდგომარეობას
რომელშიაც ჩვენი სამღვდელოებაა და ცდილობს ავტოკეფალიის აღდგენას
ქართულ ეკლესიის უფლებრივ ფეხზე წამოყენებას. ჩვენთვის სარწმუნოებ-
რივი საკითხი მხოლოდ პოლიტიკური საკითხია. ჩვენ ვიცავთ სინდისი-
სრულ თავისუფლებას და ყოველგვარ სარწმუნოებრივ მიმდინარეობა-
ერთნაირად პატივსა ვცემთ. ამიტომაც ყოველი ქართველი, რომელსაც
სწამს თავისი ერის მომავალი, პოლიტიკურად მოვალეა დაიცვას ორტო-
დოქს ეკლესიის ავტოკეფალია. და ვინიცობაა, თუ საქმე მეტად გაძნელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, მაშინ შეიძლება იძულებულიც გავხდეთ ორთოდოქსობას სრულიად თავი მივანებოთ.

თუ ორთოდოქსობა დღეს ჩვენი გარუსების და სულიერი დაცემის საშვალებად გადაიქცა, გაცილებით უარეს მდგომარეობაშია კათოლიკე ქართველობა. რაღაც სამარცხვინო მანქანებით ეს ქართველობა ჩავარდნია ხელში სომხებსა და ლამის კიდეც გასომხდეს. გასულ წელს კათოლიკე ქართველობის ერთმა ნაწილმა ნათლად დააყენა საკითხი--აღვადგინოთ ქართული ტიბიკონიო. მაგრამ არც ასე ადვილია ამ საკითხის გადაჭრა. ჯერ ერთი, შედარებით ჩვენ სუსტნი ვართ შეგნებით, მეორე, სომხის სამღვდელობას მეტად რთული ქსელი აქვს გაბმული, ძალაც მეტი შესწევს, მას მხარს უჭერს რუსის მთავრობა, კეთილის თვალით უცქერის რომი, მასვე ყავს დარაზმული სამღვდელოება, რომელთა შორის არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს გასომხებულ ქართველს, იუდა კალატოზიშვილს. ბრძოლა უსათუოდ ხანგრძლივი და მკაცრი იქნება. ჩვენი უაღრესი მოვალეობაა მედგრად დაუჭიროთ მხარი მცირე ჯგუფს კათოლიკე ქართველებისა ამ დიდ ეროვნულ საქმეში და გამოვტაცოთ ხელიდან თავგასულ ტერტერებს ჩვენი გზა დაბნეული ძმები.

დიდი სიხარულით და აღტაცებით უნდა აღვნიშნოთ მაჰმადიან ქართველთა ეროვნული გამოფხიზლება, რომელმაც გასულ წელს საგრძნობელად იჩინა თავი. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მთელ სამაჰმდიანოში მძლავრი ეროვნული მოძრაობა ჩაღდება და იწყება ნამდვილი შემოქმედების ხანა, ვინაიდან დღეს მაჰმადიანებისთვისაც ნათლად გამოირკვა, რომ ნამდვილი შემოქმედება მხოლოდ ეროვნულ ფარგალშია შესაძლებელი. რა საკვირველია, ეს ზრდა, ეს სულიერი ამაღლება ხალხისა არ ხდება თავისუფლად, ვინაიდან ძველი აზრები, ძველი ჩვეულებანი, ეს მაგარი არტახები, რომელნიც ხალხს უგუნურობის აკვანში იჭერდა, ჯერ კიდევ არსებობს. მაგრამ მაინც საგრძნობელი ნაბიჯი იქმნა გადადგმული. ალბანელთა ბრძოლა თავის ეროვნულ პიროვნების დასაცველად, ბრძოლა, სადაც სამი სარწმუნოების წარმომადგენელნი შეერთდენ და ძმურად, ერთსულოვნად გაილაშქრეს შემოსულ მტერთა წინააღმდეგ. არაბთა თავგამოდებითი ბრძოლა თავის დასაცველად, შედარებით მოუმზადებელ ქურთთა სურვილი თავი დაიცვან — ყველაფერი ეს ნათლად მოწმობს, რომ მაჰმადიანობაში დიდი მოძრაობაა და დიდი ეროვნული გამოღვიძება.

თვით გაბატონებულ თათრებშიაც ვამჩნევთ ამავე მოვლენას. დღემდის მაჰმადიანთა სასულიერო წიგნი — ყურანი მხოლოდ არაბულ ენაზე იყო და მისი სხვა ენაზე თარგმნა და კითხვა მორწმუნე მაჰმადიანისათვის ცოდვად ითვლებოდა. სწორედ ამას წინეთ კონსტანტინეპოლში ვინმე იბრაჰიმ ჰილმი ბეიმ მშვენიერ თათრულ ენით გამოსცა ყურანის თარგმანი. რაც წინედ ხალხის თვალში ცოდვად ითვლებოდა, დღეს საჭიროებათ იქმნა აღიარებული. აღდგენის და წინსვლის სხივმა მაჰმადიან ქართველებშიაც შემოაშუქა და შორს აღარაა ის დრო, როცა სამივე სარწმუნოების ქართველობა ერთად დარაზმული, სარწმუნოებრივ ნიადაგზე ურთიერთ ღრმად პატივისმცემელი, ძმურად თავს მოიყრის ეროვნულ დროშის ქვეშ და კვლავ აღადგენს ათას ისტორიულ ქარტეხილში დაფლეთილ საქართველოს სახელს.

მიმოხილვა.

ქართველმა ერმა კარგა ხანია აღიარა: — Uიხე შიგნიდან გატყდებაო. მართლაU ჩვენი ეროვნული დასუსტება, დამარUხება, თუ „ნებაკვთ", ყოველ უწინარეს იმ ქართველთა მოქმედების ბრალია, რომელთაU სხვა და სხვა მოსაზრებით სამშობლოს ზურგი უჩვენეს და მის მტერთა სამსახურს გულმოდგინეთ შეუდგნენ. ერთი პირველ ადგილთაგანი ამ სარბიელზე უUილობლად ორტოდოქს სამღვდელოებას ეკუთვნის. მაგალითები მრავალია დღესაU არა მარტო უბრალო სამღვდელოებაში, არამედ მის უმაღლეს წარმომადგენელთა შორისაU. ეპ. ანტონი ქართველებს აბეზღებს რუსის მთავრობის წინაშე: — კერპთ-თაყვანისმUემლები არიან, მოუსპეთ ძველი ჩვეულებანი, თემური წესები, საუკუნოებით შემუშავებულნი თავიანთ წმინდათა პატივსაUემლადო. მერე ვის წინაშე აბეზღებს? რუსებისა, რომელნიU თუ ქვეყანაზე კერპთ-თაყვანისმUემელია, პირველი თვითონ არიან. ვთქვათ, მართლაU რაიმე ნაკლი შენიშნე შენს მოძმეს, რას მირბიხარ საბეზღებლად? განა ჩვენ თვითონ არ შეგვწევს ჩვენი საკუთარი ძალა გავსწორდეთ, ავმაღლდეთ? განა ამ ბეზღობიამ არ დაგვღუპა ჩვენ? რა საკვირველია, ეპ. ანტონიმ ეს კარგად იUის, არU იმისთვის სUხელა მაინU და მაინU, რომ ქრისტიანულ მოძღვრების განმტკიUებას ემსახუროს. მას სულ სხვა ჰია აწუხებს, სურს წინ წავიდეს, სურს, როგორU გულმოდგინე ფინიამ, თავის უფროსებს ხელ-ფეხი დაულოკოს. მოისაქმიანებს, თავის თანამემამულეთ დააბეზღებს, დასთესს შურს და სიმძულვარეს, რაU შეუძლია გააფუჭებს, და, როUა საკმარისად მიიქUევს უფროსთა ყურადღებას, მერე შეაყოლებს რუსეთისკენ. გზა უკვე გახსნილია, უკვე არა ერთი მოღალატე გაიპარა სამშობლოდან.

მაინU საკვირველია ამ ეპისკოპოზების საქმე. თითქო საქვეყნო სახელსა, ფუფუნებასა და კეთილ Uხოვრებაზე ხელი აიღეს, თითქო განშორდენ წარმავალ და მატყუარა სიტკბოებას ამა სოფლისა. მოსალოდნელია, რომ ასეთი ადამიანი იყოს სულით მაგარი, დამUირებულთა და შეწუხებულთა დამUველ-ქომაგი, ძლიერთა წინააღმდეგ მებრძოლი. მართლა, კი ჩვენ სულ სხვა სურათს ვხედავთ. სულით უბადრუკნი, მხთალნი და სულოკლენი — ისინი საოUარი მოწინური მოწიწებით ემორჩილებიან თავიანთ მთავრობას და აშკარად მოქმედებენ ჩვენ წინააღმდეგ. მაშ სხვა რა მოსაზრებით უნდა ავხსნათ იმერეთის ეპ. გიორგის მოქმედება? რის ეშინოდა მას, როUა თავის სამღვდელოებას ჯალათივით თავს დაადგა და აუკრძალა ძირითად საეკლესიო საკითხზე — ქართულ ეკლესიის თვითმართველობის აღდგენაზე ელაპარაკათ? ასეთი დამUინავია ისტორია. რუსთაგან წამებულ, გზაში Uემით და თრევით მოკლულ ზოსიმე ქუთათელის ტახტზე უნდა იჯდეს განUხრომის გულისთვის გაეპისკოპოზებული არარაობა.

ქართველი საზოგადოება მეტად აახმაურა და აამოძრავა პოლიტეხნიკუმის საკითხმა თბილისში. ჩვენი აზრით ამ საკითხში ის სრულიად შემUდარ ნიადაგზე იდგა და ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ მას აკლია ეროვნულ-პოლიტიკური შეგნება. ჯერ ერთი, ქართველთათვის არაფერი სასიხარულო და სანუკარია ახალ რუსულ სასწავლებლის დაარსება, რომელიU ჩვენი გადაგვარების და ეროვნულ განადგურების საუკეთესო იარაღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი იდეალია, იდეალი სამართლიანი და აუცილებლივ განსახორციელებელი, — სწავლება ყოველ საფეხურზე ქართულად სწარმოებდეს. ყოველი ჩვენი ძალ-ღონე, ყოველი ჩვენი მუშაობა აქეთკენ უნდა იყოს მიმართული და დარწმუნებული იყავით, თუ ქართველი ერი ერთსულოვანი იქნება თავის მისწრაფებაში, თუ ის საკმაო ძალას გამოიჩენს თავის უმაღლეს იდეალთა განხორციელებაში, აუცილებლივ თავის მიზანს მიაღწევს და არ ემსგავსება იმ მეორე ხარისხოვან ერს, რომელიც იძულებულია გაბატონებულ ერის მეცნიერების ნასუფრალით იკვებოს. თუ სამ მილიონიან შვეიცარიას ცხრა უმაღლესი სასწავლებელი აქვს, თუ ორ მილიონ ნახევრიან ფინლანდიას მთელ ევროპაში შესანიშნავი უნივერსიტეტი აქვს, თუ მცირედ ნორვეგიას არა ერთი საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი აქვს, საქართველოსაც როგორც წარსული, ისე აწმყო მაღალ სულიერი განვითარების წყურვილი, მისი წარსული გონებრივი ნამუშავარი სრულ უფლებას აძლევს იბრძოლოს საკუთარ ქართულ ეროვნულ უმაღლეს განათლებისათვის.

ამ უცხო დაწესებულებისათვის ქონების შეწირვა, მაშინ როდესაც ყოველ ჩვენ ეროვნულ დაწესებულებას თუ შემოქმედებას ქონებრივი უსახსრობა გასაქანს არ აძლევს, ეს პირდაპირ დანაშაულია სამშობლოს წინაშე. მეორე, თუ საბურთალო ქართველთა ადგილად ითვლება, ნავთლუხი არა სხვისია და მაშ ეროვნულ საკითხად ასეთი საკითხის გადაქცევა ეს იყო აყოლა იმ უსაქმო ადამიანებისა, რომელთაც ქართული საქმე არასდროს წაღმა არ წარუმართიათ.

ამისთანა საკითხებში ჩარევა, მათკენ მთელი ყურადღების მიპყრობა იმას ნიშნავს, რომ სხვა უფრო დიდი საკითხები ხალხისთვის იჩრდილება. აგერ გლეხებს ჰყრიან მათი სისხლით მორწყულ ადგილებიდან, აგერ სპობენ ქართულ ენას სკოლებში, აგერ უცხოელები იგდებენ ჩვენ მიწა-წყალს ხელში და განადგურებას გვიქადიან. და ამ დროს გაჩაღდა ბრძოლა საბურთალოსა და ნავთლუღს შორის.

მაგრამ ეს დავა მაინც მეტად საგულისხმიერო იყო ჩვენთვის და საგულისხმიერო იყო სწორედ იმიტომ, რომ მან ქართველ ერს ერთხელ კიდევ მწვავეთ წამოუყენა წინ ერთი უდიდესი საკითხთაგანი მისი არსებობისა. ესაა ქალაქების საკითხი საქართველოში და განსაკუთრებით მისი სატახტო ქალაქისა. აქ ჩვენ არ დაგვჭირდება იმის განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქს თანამედროვე ეროვნულ ცხოვრებაში. ერი ქალაქად უძლური უთავო სხეულს ჰგავს. ქალაქად სისუსტე ნიშნავს ყოველ უწინარეს ერის სავაჭრო-სამრეწველო სარბიელზე სისუსტეს. ხოლო ამ სისუსტის შედეგია ეროვნულ სიმდიდრის უცხოელთა ხელში გადასვლა. ასეთი ერის ეკონომიური საქმიანობა მხოლოდ სხვას ამდიდრებს და აღონიერებს. ამიტომაც ყოველი ერი, რომელიც ისტორიულ მსვლელობაში უცხო კაპიტალისტთა საწიწკნი გამხდარა, ან უნდა დაიღუპოს, ან თავი დააღწიოს უცხოთა ექსპლოატაციას. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ქალაქში სუსტ ერს არც გონებრივ სარბიელის სხვა და სხვა სფეროში შეუძლია საკმაო ძალა გამოიჩინოს. ამიტომაც ქართველმა ერმა აუცილებლივ უნდა მოიპოვოს თავისი ბუნებრივად მისთვის კუთვნილი უპირატესი მდგომარეობა იმ ქართულ ქალაქებში, რომელთა ციხე-კოშკებში დღეს უცხოელები ჩამსხდარან და ჩვენ ეროვნულ არსებობას ემუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრებიან.

მაგრამ ერთია სურვილი, აუცილებელი საჭიროება და მეორეა მისი მიღწევა, განხორციელება. შესწევს ქართველ ერს იმდენი ძალა, რომ ეს მიზანი განახორციელოს? ვპოვებთ თუ არა მის განვითარებაში ისეთ ნიშნებს, რომელნიც ამ მხრივ გამარჯვების იმედს გვაძლევს? მართალია, ძველ საქართველოში ქართველობა ნაკლებ ეტანებოდა ქალაქურ ცხოვრებას, ქალაქურ მუშაობას, მაგრამ მაინც არც ისე სუსტნი ვიყავით, როგორც ბევრს ჰგონია.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ, შემდეგ რუსების შემოსვლამ და მის მოყოლილმა პოლიტიკურმა ბრძოლამ საოცრად შეამცირა ქართველთა რიცხვი ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში. და ამ გარემოებით ისე მოხერხებულად ისარგებლეს სხვებმა, რომ საოცარი სისწრაფით გამრავლდენ და გამაგრდენ საქართველოს გულში. მაგრამ ქართველ ერში ახალ ცხოვრებასთან ერთად დაიწყო ღრმა საზოგადოებრივი გარდაქმნა. შეირყა ძველი ბატონ-ყმური ურთიერთობა, ხალხი, უმრავლესობა გამოვიდა თავისუფალ საზოგადოებრივ შემოქმედების სარბიელზე. ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე საგრძნობელი შედეგი მივიღეთ, რომელიც საშვალებას გვაძლევს მომავალს სავსე იმედით ვუყურეთ. ქალაქებისკენ დენა ბუნებრივ მოვლენათ გახდა ჩვენ ცხოვრებაში. და რადგან ის ბუნებრივი აუზი, რომლიდანაც საზრდოობენ ქართული ქალაქები, მათ ირგვლივ შემორტყმული საქართველოა, აშკარაა ამ ქალაქთა მცხოვრები და მომქმედი ელემენტი სხვა და სხვა სარბიელზე ქართველობა უნდა გახდეს. ამ გვარად სრულიად ჩვეულებრივ. ბუნებრივ, მსვლელობის შედეგი იქნება, როცა ჩვენ სიღნახსა, თელავსა და თბილისში უმრავლესობა ვიქნებით. დღემდის გარდა განსაკუთრებულ პოლიტიკურ მფარველობისა სხვა ერებს ხელს უწყობდა აგრეთვე მიმოსვლის საშვალებანი. დღეს ეს უპირატესობაც შემცირდა. ქართლ-კახეთის მთათა კალთებზე მცხოვრებნი ქართველნი დღემდის იქ შეხიზნულნი, მთებიდან დაიძვრიან და ახლო მომავალში ჩვენ საერთო ფართე ეროვნულ შემოქმედებაში გაცილებით მეტ ადგილს დაიპერენ. და საერთოდ მთელი ჩვენი ცხოვრების განვითარება აქეთკენაა მიმართული. ქართველობა ფეხზე დგება, წელში იმართება და ამ საზოგადო გამოფხიზლების და გაღონიერების ერთი ბუნებრივი შედეგთაგანია მისი ქალაქში გაძლიერება. ხოლო, როცა პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენებზე ვლაპარაკობთ, უნდა კარგათ ვიცოდეთ, რომ არაა საკმარისი მარტო ბუნებრივი მიდრეკილება. აქ საჭიროა ღრმად მოფიქრებული, განსაზღვრულ გეგმაზე აწყობილი მოქმედება.

სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ მზადების ხანაში ვართ. ჯერ კიდევ ნაკლებ გვაქვს შეგნებული ეკონომიურ თავდაცვის საჭიროება; მაგრამ ნიადაგი უკვე მზად არის ასეთი მოქმედებისათვის. ჩვენ შემდეგში საშვალება გვექნება დაწვრილებით შევეხოთ იმ ზომებს, რომელნიც აუცილებელია ეკონომიურ თავდაცვისათვის. ჩვენ ეკონომიურ აღორძინებას და ქალაქებში გაძლიერებას თან მოსდევს მასთან მჭიდროდ შეკავშირებული და ქართველ ერისთვის მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ესაა სომეხთა საკითხი საქართველოში. ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით შევეხებით მას.

ყოველ უწინარეს აღვნიშნოთ, რომ ქართულ მწერლობაში სომეხთა საკითხი სრულიად შესწავლილი არაა და ქართულ საზოგადოებაშიაც ჩვეულებრივ ორგვარი აზრი ტრიალებს, ორივე მეტად უსუსური. ერთნი თავაღებით ძმობასა და თანხმობაზე ყვირიან, მეორენი სომხებს დაჩინვით და სიმძულვარით იხსენიებენ. რასაკვირველია, არც ერთს აზრს პოლიტიკურ სიმწიფის და წინდახედულობის ბეჭედი არ აზის. ორ ერს შორის თანხმობა თუ ბრძოლა დამოკიდებულია მათი არსებობის ინტერესებზე. თუ ორი ერის ინტერესები პარალელია, მათ შორის წინააღმდეგობა კი არა, სრული თანხმობაა, მაშინ ვინ სულელი იქნება არ აღიაროს ეს ფაქტი და ბუნებრივ მოკავშირეს ხელი ჰკრას! მაგალ., ქართველთა და თათართა ინტერესები არსად ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, პირიქით ერთი და იგივე ჰირი, ერთი და იგივე პოლიტიკური განსაცდელი მათთვის საერთო ბრძოლის ნიადაგს ჰქმნის. ეს სრულიად არ ითქმის სომეხ-ქართველთა დამოკიდებულების შესახებ.

საკმარისია ოტაოდნად ისტორიას და თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებას თვალი გადაავლოთ, დარწმუნდებით, რომ სომხები მეტად ძლიერი ერია. მიუხედავად იმისა, რომ სომხები უმთავრესად გაფანტულად სცხოვრობენ და არც მოიპოება დედა-მიწის ზურგზე ისეთი კუთხე, რომ სომხები არ შეგხვდეთ, ისინი არსად თავიანთ ეროვნულ სახეს არა ჰკარგავენ და მჭიდროთაც შეკავშირებული არიან. მათი საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც უფრო უნდა ეწოდოს ეროვნული კავშირი, რადგან მისი მოქმედება შეეხება მრავალ ეროვნულ საქმეს და რომლის უმთავრესი გამგეობა ქაირშია, მთელ სომხობას აერთებს და ყოველგან მისი საქმეები საოცარ წარმატებაშია. ი'შვიათია, შეიძლება ერთად ერთიც იყოს ქვეყნიერებაზე ამ მხრივ სომხობა.

თუმცა მათშიაც როგორც ყოველ ისტორიულ ერში, წოდებრივი, სარწმუნოებრივი თუ კლასობრივი საკითხები არსებობენ და ამ გვარად სწარმოებს შინაგანი ბრძოლა და ამავე დროს სომხებს არ აქვთ საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია, მიუხედავად ამისა საერთო ეროვნულ საკითხების წინაშე ყველა ეს სხვადასხვაობა იმალება, ქრება და მთელი სომხობა გამოდის, როგორც ერთი მთლიანი ეროვნული პიროვნება. სომხები ერთად ერთი ერია, რომლის დიდი უმრავლესობა ერთი პოლიტიკური პარტიის — დაშნაკცუტუნის დროშის ქვეშ თავს იყრის.

სომხობა უმთავრესად სამ სახელმწიფოშია: რუსეთში, ოსმალეთში და სპარსეთში. სამივე სახელმწიფოში სომხები აწარმოებენ აქტიურ ეროვნულ პოლიტიკას. და საგულისხმიერო ის არის, რომ სულ სხვა და სხვა ხერხით, რაც შედეგია ადგოლობრივ პირობების შეგუებისა. თუმცა ამ სახელმწიფოებში სომეხთა რიცხვი შედარებით არც ისე დიდია (ევროპის მეცნიერები მთელ სომეხთა რაოდენობას სთვლიან 3 100 000, ამ რიცხვიდან აზიის ოსმალეთშია 1 150 000, რუსეთში 1 500 000, სპარსეთში 150 000), მიუხედავად ამისა მათი პოლიტიკური როლი ყოველგან თვალსაჩინოა,

ჩვენში ძალიან გავრცელებულია ერთი ყალბი აზრი, თითქო რუსის მთავრობა სომხებს სდევნიდეს. ყოველი ერის მდგომარეობა შედარებით უნდა დაფასდეს. ჯერ კიდევ ეკატერინე მეორემ აჩუქა სპარსეთის სომხებს ვეებერთელა ადგილ-მამული, სადაც გაშენდა ქ. ნახიჩევანი დონი-

სა. ეს ქალაქი დღესაც სომეხთა ხელშია საკუთარ სასწავლებლებით, დ
სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებით. მაშინ როდესაც ქართველებს ყვ
ლაფერი წაგვართვეს, სომეხთ შერჩათ რთული სარწმუნოებრივი ავტო
ნომია, საკუთარი სკოლა — დაწყებით სკოლიდან აკადემიამდე — და ბევ
რი სხვა დაწესებულება, რომელთა მოპოება სხვა ერთათვის ჯერ კიდ
სანატრელი იდეალია.

ჩვენში ორ მესამედზე მეტი სომხობა რუსობის დროს შემოვიდა დ
რუსის მთავრობის შემწეობით მდიდრულადაც დამკვიდრდა ჩვენს მი
წა — წყალზე. ამგვარად სომხები რუსეთში ბევრ სიკეთით სარგებლო
ბენ და კიდეც კმაყოფილი არიან რუსის მთავრობისა. ევროპის საპ
ლიტიკო მწერლობამ ეს კარგა ხანია აღნიშნა. ისიც საგულისხმიეროა,
რომ რუსული რეჟიმი სომხებისთვის მეტად ხელსაყრელი იყო ეკონომი
ურადაც. ყოველ ეკონომიურ ფორმას შესაფერი პოლიტიკური ფორმ
ეგუება. არავისთვის დასამალი არაა, რომ სომხების დღევანდელი სიმდ
დრე უმთავრესად ჩარჩობითაა მოპოებული. მხოლოდ დესპოტიზმის აღ
ვირახსნილობა შესანიშნავი ნიადაგია ჩარჩობის ასაყვავებლად. დამონ
ებული და შევიწროებული, გადასახადებით ტყავგამძვრალი, ყოველ
ორგანიზაციას მოკლებული ხალხი იდეალური ფარაა ჩარჩისათვის.

ამ აზრის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიგონოთ 1905 წელი ჩვენში.
რამდენად ხალხი იხსნიდა პოლიტიკურ არტახებს, იმდენად ის ირაზმე
ბოდა ყოველგვარ მყვლეფელების წინააღმდეგ; დემოკრატიულად მოწყო
ბილ ქვეყნებში ჩარჩს ადგილი აღარ აქვს. აშკარაა, თუ სომხებმა დიდ
ძალი სიმდიდრე დააგროვეს, ეს არა მარტო მათი ვაჭრული უნარის ნა
ყოფია, არამედ განსაკუთრებით მათთვის ხელშემწყობ რუსულ სახელმწი
ფოებრივ რეჟიმისა. წინად რუსები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ ოსმა
ლეთის სომხებს, მაშინ რუსის მთავრობა სლავიანურ დროშით შედიოდ
ოსმალეთში სხვა და სხვა უპირატესობის მოსაპოებლად. მაგრამ დღეს
როცა ყველა სლავიანები განთავისუფლდენ, სომხები რუსის მთავრობ
განსაკუთრებულ ყურადღების ღირსნი გახდენ. და აი კიდეც მისი ცდი
ოსმალეთის სომხობამ უკვე მიიღო და კიდევ მიიღებს თვალსაჩინო რ
ფორმებს. ამგვარად რუსეთმა სომხობას მეტის მეტად ხელი შეუწყო ას
წლის განმავლობაში, — და ვინც ცდილობს ქართველობა და სომხობ
ერთს პოლიტიკურ ტაფაზე მოათავსოს, ის უსაზღვრო საზოგადოებრი
სიბეცეს იჩენს.

ქართველ-სომეხთა ურთიერთობა მეტად რთულ ისტორიულ პროცეს
ში გადახლართულ-გადაქსოვილია. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ ნომერ
ში მოვილაპარაკოთ.

რედაქციისაგან. თანამოაზრეთ და თანამგრძნობთ. ველით თქვენგ
მასალებს და ყოველგვარ დახმარებას.

თუმცა პირადათ არ გიცნობთ, „თავ. საქ." არ დაგიკვეთნიათ, მაგრ
თქვენი მისამართი გავიგეთ და გიგზავნით.

მისამართი ყოველგვარ კორესპონდენციისათვის:

ფასი 1 ფრ. | Mlle G. Gilliéron, Cully (Vaud, Suisse)